ადამიანის ოცნებისა და აზრის დიდი ზეიმი

საბჭოთა საპლანეტათშორისო სადგურმა მთვარის უკანა მხარის სურათები გადაიღო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 252 (11558)
ოთხშაბათი
28
ოქტომბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

უმაგალითო მეცნიერული გმირობა

დღეს „პრავდაში" იბეჭდება ფოტოსურათები მთვარის ნაწილისა, რომელიც უხილავია დედამიწიდან. ქვეყნდება მასალები კოსმოსური სივრცის საბჭოთა დამპყრობლების ახალი შესანიშნავი გამარჯვებების შესახებ. პირველად კაცობრიობის ისტორიაში საბჭოთა მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების გმირული ღონისძიებათა შედეგად, რომლებმაც შექმნეს ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური, მიღებულია ფოტოგრაფიული გამოსახულებანი მთვარის მეორე მხარისა, რომელიც უხილავია ჩვენი პლანეტიდან.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მიერ მთვარისა და დედამიწის შემოფრენა! ამ კოსმოსური ლაბორატორიიდან 65 ათას კილომეტრ მანძილზე მთვარის მეორე მხარის ფოტოგრაფირება! გამოსახულებათა გადმოცემა დედამიწაზე კოსმოსის სიღრმიდან! ყოველი ეს მიღწევა უმაგალითო მეცნიერული გმირობაა! და ის, რომ იგი ჩაიდინეს საბჭოთა ადამიანებმა, უაღრესად კანონზომიერი მოვლენაა. იგი მოწმობს მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკის, რადიოელექტრონიკის, ქიმიის უმაგალითო წარმატებებს, საბჭოთა მეტალურგების, ასტრონომებისა და სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლების, ჩვენი ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების მიღწევას, რომლებმაც თეორიული გაანგარიშებანი განახორციელეს ტექნიკურ კონსტრუქციებად, რომლებიც ჩვენს დროში ადამიანის გენიის მიღწევათა გვირგვინს წარმოადგენენ. ეს არის ჩვენი ქვეყნის მაღალი ინდუსტრიული ძლიერების გამოხატულება, რომელმაც შეძლო შეექმნა მოწყობილობა, ხელსაწყოები და მასალები ამ გრანდიოზული ჩანაფიქრების განსახორციელებლად. ეს მოასწავებს საბჭოთა სოციალისტური წყობილების უდავო უპირატესობას, თვალნათლივ უჩვენებს მთელ მსოფლიოს, თუ რის უნარი შესწევს კაპიტალისტური ჩაგვრის ბორკილებისაგან თავისუფალი ხალხის შემოქმედებითს შრომას.

„რატომ საბჭოთა ადამიანებმა, — წერდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — პირველებმა მსოფლიოში გადაჭრეს მთვარეზე რაკეტის გაგზავნის ესოდენ ძნელი, ჭეშმარიტად უდიდესი პრობლემა, — ეს ხომ ამოცანა იყო მრავალი უცნობით! ეს გამარჯვება შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ იმავე საბჭოთა ადამიანებმა საკუთარი ხელით, საკუთარი გმირული შრომით უმოკლეს ისტორიულ ვადაში შეძლეს გადაეჭრათ უდიდესი სოციალური პრობლემა — მათ ააშენეს სოციალისტური საზოგადოება და მტკიცე რწმენით აშენებენ კომუნიზმს".

ჩვენი მეცნიერების, სპეციალისტებისა და მუშების ეპოქალური წარმატებანი მთელი საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვებაა, რომელიც აშენებს კომუნიზმს ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. ეს შესანიშნავი წვლილია მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში. მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები აღტაცებით უკრავენ ტაშს კოსმოსის საბჭოთა დამპყრობლებს, ულოცავენ მათ შესანიშნავ წარმატებებს.

საგულისხმოა, რომ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი უბადლო გამარჯვება მოპოვებულია დიდი ოქტომბრის წლისთავის წინ, რომელიც მობრუნების პუნქტი იყო ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში. ეს წარმატებანი ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობენ, რომ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც ბოლო მოუღო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, ხალხებს დაუსახა განვითარების ერთადერთი სწორი გზა — სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზა, რომელსაც მივყავართ ეკონომიკის, კულტურისა და ადამიანთა კეთილდღეობის უმაგალითო აყვავებისაკენ, გზა, რომელსაც ახლა ადგას მილიარდზე მეტი კაცი.

რა უდიდესი გზა განვლო თავის განვითარებაში ჩვენმა ქვეყანამ ორმოცდაორი წლის მანძილზე კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლების დამხობისა და საბჭოთა მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარების შემდეგ! ჩამორჩენილი და დანგრეული ქვეყნიდან იგი გადაიქცა მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოდ, რომლის წარმატებანი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში ანცვიფრებენ მთელ კაცობრიობას. მესამე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაფრენა ამ ძლიერების უდიდესი დადასტურება იყო, რამაც დაჩრდილა მანამდე მეცნიერებისა და პროგრესისათვის ჩადენილი ყველა საგმირო საქმე.

საბჭოთა ადამიანების მიერ შექმნილმა მრავალსაფეხურიანმა რაკეტამ საპლანეტათშორისო სადგური გაიყვანა წინასწარ გაანგარიშებულ ორბიტაზე და გაგზავნა იგი მთვარის შემოსაფრენად. დედამიწიდან მართულმა სადგურმა ჩაუარა მთვარეს, შეხედა მის უკანა მხარეს, რომელიც ჯერ არასოდეს არ დაუნახავს ადამიანის თვალს. ორიენტაციის სპეციალურმა სისტემამ სადგური ისეთ მდგომარეობაში მოიყვანა, რომ მთვარის დისკო მოხვდა ფოტოობიექტივების მზერის არეში. ორმოცი წუთის განმავლობაში სხვადასხვა ხანგრძლივობით, რომ არ შემცდარიყო, საბჭოთა კოსმოსური ფოტოკორესპონდენტი აწარმოებდა მთვარის იმ მხარის გადაღებას, რომელზეც დღემდე არაფერი არ ვიცოდით. ავტომატურმა ფოტოაპარატურამ გამოამჟღავნა და გააშრო ფოტოფირი, რომელმაც აღბეჭდა ფასდაუდებელი კადრები. შემდეგ დედამიწიდან მიღებული ბრძანებით სპეციალურმა სისტემამ გადმოსცა მთვარის ზედაპირის მიღებული გამოსახულებანი. ამ გამოსახულებებმა გადალახეს ასეულ ათასობით კილომეტრი კოლოსალური სივრცე, მოაღწიეს დედამიწას და მიღებულ იქნენ.

აი რა შეუძლია ჩაიდინოს ჩვენი დროის საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ! მისი წარმატებების, ადამიანის ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში მისი პირველობის კიდევ რა დადასტურებაა საჭირო!

უხსოვარი დროიდან მთვარე იზიდავდა ადამიანის ყურადღებას. ჯერ კიდევ ანტიკურ დროში ფილოსოფოსებმა გამოთქვეს სწორი იდეა, რომ მთვარე დამოუკიდებელი ციური სხეულია, პრაქტიკულად ბურთის ფორმისა, შესაძლოა, დედამიწის მსგავსი. ჩვენი ბუნებრივი თანამგზავრის შესწავლაში ახალი პერიოდი დაიწყო 1609 წელს, როცა გალილეიმ მთვარისაკენ მიმართა თავისი პირველი პრიმიტიული ტელესკოპი. მან მთვარეზე აღმოაჩინა ველები და მთები. ამ მომენტიდან დაიწყო ახალი მეცნიერების — სელენოგრაფიის შექმნა, რომელიც სწავლობს წარმონაქმნებს მთვარის ზედაპირზე.

პირველი ტელესკოპური დამზერის შემდეგ განვლილი სამნახევარი საუკუნის მანძილზე სელენოგრაფიამ უდიდესი წარმატებანი მოიპოვა. ეს მიღწევები დღეს დაგვირგვინდა უმაგალითო მეცნიერული გამარჯვებით, რომელიც მოიპოვეს კოსმოსის საბჭოთა მკვლევარებმა. დაიწყო ახალი ეპოქა ციური სხეულების შესწავლაში.

მთვარის მეორე მხარის პირველი ფოტოსურათების უკვე წინასწარი გაცნობა საშუალებას აძლევს საბჭოთა მეცნიერებს გააკეთონ დიდმნიშვნელოვანი დასკვნები მისი ზედაპირის თავისებურებათა შესახებ. მთვარის მეორე მხარის ზედაპირის დეტალების შემდგომი შესწავლა გააფართოებს ადამიანის ცოდნას პლანეტების განვითარების შესახებ. მაგრამ უკვე ახლა სელენოგრაფია გამდიდრდა ახალი სახელწოდებებით, რომლებიც დაამტკიცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ. მათ აღბეჭდეს საბჭოთა მეცნიერების გამარჯვებანი, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო მეცნიერებაში.

დიდ კრატერულ ზღვას ეწოდა ჩვენი სამშობლოს — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქის სახელი — მოსკოვის ზღვა, სოციალისტური სახელმწიფოსი, რომელმაც გაკაფა გზა კოსმოსის დასაპყრობად. მოსკოვის ზღვაშია ასტრონავტების ყურე. ვის შეუძლია ეჭვი შეიტანოს, რომ პირველი კოსმოსური სხეული, რომელსაც მომავალში ეწვევიან კოსმოსის დამპყრობნი, მთვარე იქნება? ციოლკოვსკის, ლომონოსოვის, ჟოლიო-კიურის კრატერები უკვდავყოფენ დიდ მეცნიერთა სახელებს. მათ შრომებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერების, მათ შორის მისი იმ დარგების განვითარებაში, რომლებმაც ამჟამად მიგვიყვანეს ადამიანის მიერ მზისახლო სივრცის დაპყრობის დაწყებამდე. მთის ქედი სოვეტსკი მარად მოაგონებს კაცობრიობას საბჭოთა ადამიანების გმირობას, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებას აშენებენ. ოცნების ზღვა — ასე ეწოდა პირველი საბჭოთა კოსმოსური რაკეტის პატივსაცემად, რომელიც გახდა პირველი ხელოვნური პლანეტა. ხომ არ მოწმობს ეს სახელწოდება, რომ საბჭოთა ადამიანები კაცობრიობის საუკუნეობრივ ოცნებას სინამდვილედ აქცევენ. რომ ჩვენ შევედით მეცნიერებისა და ტექნიკის, ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავების ეპოქაში, როცა ჭეშმარიტად ზღაპარი ნამდვილ ამბად იქცევა!

როგორც მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური იარსებებს ნახევარ წელიწადს და შემდეგ დაიწვება ატმოსფეროს მკვრივ ფენებში. მაგრამ საბჭოთა ადამიანების უმაგალითო მეცნიერული გმირობა, რომლებმაც განახორციელეს მთვარეზე კოსმოსური ხომალდების გაბედული გაფრენა და მთვარის შემოფრენა, მარად იელვებს უქრობ ნიშანსვეტად სამყაროს დაუსრულებელ სიღრმეთა შესწავლის ისტორიაში.

— ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲡ, ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲡ, ᲘᲜᲟᲘᲜᲠᲔᲑᲡ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ, ᲛᲣᲨᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲣᲮᲕᲔᲭᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲒᲐᲤᲠᲔᲜᲘᲗ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲖᲔ, ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲠᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲡ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲐᲨᲘ!

დღეს, როცა ქვეყნდება პირველი შედეგები უმაგალითო მეცნიერული ექსპერიმენტისა, რომელიც ბრწყინვალედ დამთავრდა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი გამარჯვებით, მუშაობას იწყებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგი სესია. ხალხის რჩეულნი განიხილავენ კომუნისტური მშენებლობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ სესია მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა ხალხის ახალ დიდ ნაბიჯებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარების გზაზე.

— ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ!

— ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲨᲗᲐᲛᲐᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ!

„პრავდის" 27 ოქტომბრის მოწინავე



მთვარის უკანა მხარის ფოტოსურათი, რომელიც მიღებულია ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურიდან.

საკდესის ცნობა

მესამე საბჭოთა კოსმოსური რაკეტის მოძრაობის შესახებ

მეცნიერული კვლევის დასახული პროგრამის შესაბამისად 7 ოქტომბერს 6 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურზე ჩართულ იქნა აპარატურა, რომელიც განკუთვნილი იყო იმისათვის, რომ მიეღო მთვარის იმ ნაწილის გამოსახულება, რომელიც დედამიწიდან არ ჩანს, და შემდეგ დედამიწაზე გადმოეცა ეს გამოსახულება.

მთვარის სურათის გადასაღებად ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურს აქვს ორიენტაციის სისტემა და ფოტოტელევიზიის აპარატურა ფოტოფირის ავტომატურად დასამუშავებელი სპეციალური მოწყობილობით.

ფოტოსურათის გადაღების პროცესის დრო ისე იყო შერჩეული, რომ სადგური თავის ორბიტაზე ყოფილიყო მთვარესა და მზეს შუა, რომელიც აშუქებდა მთვარის უხილავი მხარის დაახლოებით 70 პროცენტს. ამასთან სადგური იყო 60-70 ათას კილომეტრ მანძილზე მთვარის ზედაპირიდან.

სპეციალური განკარგულებით ჩართულმა ორიენტაციის სისტემამ ისე მოაბრუნა სადგური, რომ ფოტოაპარატის ობიექტივები მიმართული ყოფილიყო მთვარის უკანა მხარეზე, და გასცა ფოტოაპარატურის ჩართვის განკარგულება.

მთვარის ფოტოსურათის გადაღება გაგრძელდა დაახლოებით 40 წუთს და ამასთან მნიშვნელოვანი რაოდენობით მიღებულია მთვარის სურათები, ორი სხვადასხვა მასშტაბისა.

ფოტოფირების დამუშავება (გამჟღავნება და ფიქსირება) ავტომატურად მოხდა საპლანეტათშორისო სადგურზე.

მთვარის ფოტოგამოსახულებათა სიგნალების დედამიწაზე გადმოცემა ხდებოდა სპეციალური რადიოტექნიკური სისტემის საშუალებით. ამ სისტემამ ერთსა და იმავე დროს უზრუნველყო მეცნიერულ გაზომვათა მონაცემების გადმოცემა, ორბიტის ელემენტების განსაზღვრა, აგრეთვე დედამიწიდან საპლანეტათშორისო სადგურზე იმ განკარგულებათა გადაცემა, რომლებიც სადგურის მუშაობას განაგებენ. სატელევიზიო აპარატურამ უზრუნველყო მაღალი დასაშვები უნარის ნახევარტონური გამოსახულების გადმოცემა.

მთვარის უხილავი ნაწილის პირველი სურათები, რომლებიც მიღებულია წინასწარი დამუშავების შედეგად, გამოქვეყნდება გაზეთებში „პრავდაში", „იზვესტიასა" და „სოვეტსკაია როსიაში" საჭირო აღწერილობით 27 ოქტომბერს და შემდეგ მეცნიერულ გამოცემებში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ შექმნა კომისია მთვარის უხილავი ნაწილის კრატერებისათვის, ქედებისა და სხვა თავისებურებათათვის სახელების დასარქმევად.

ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურზე განლაგებული იყო აგრეთვე აპარატურა, განკუთვნილი მეცნიერული კვლევისათვის საპლანეტათშორისო სივრცეში. მეცნიერული კვლევის მიღებული შედეგები მიწისზედა სადგურებმა ჩაწერეს ფირზე და ამჟამად ხდება მათი დამუშავება.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მუშაობამ პირველ მობრუნებაზე ცხადყო, რომ:

წარმატებით უზრუნველყოფილია კოსმოსური ობიექტის ფრენა რთული, წინასწარ გაანგარიშებული ორბიტით;

გადაწყვეტილია სივრცეში ობიექტის ორიენტაციის ამოცანა;

განხორციელებულია რადიოტელემექანიკური კავშირი და ტელევიზიურ გამოსახულებათა გადაცემა კოსმოსურ მანძილებზე;

მიღებულია გამოსახულება მთვარის მეორე მხარისა, რომლის გამოკვლევა დღემდე მიუწვდომელი იყო, და მთელი რიგი სხვა მეცნიერული შედეგები.

★

27 ოქტომბერს 20 საათზე საპლანეტათშორისო სადგური იქნება დედამიწის ზედაპირის იმ წერტილის თავზე, რომლის კოორდინატებია დასავლეთი გრძედის 38 გრადუსი და 6 მინუტი და ჩრდილოეთ განედის 6 გრადუსი და 30 მინუტი 484 ათას კილომეტრ მანძილზე დედამიწის ცენტრიდან.

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის ორბიტის დახასიათების დაზუსტება ცხადყოფს, რომ იგი იარსებებს გაშვების მომენტიდან დაახლოებით ნახევარ წელიწადს და 11-12-ჯერ შემოუვლის დედამიწას. ეს ვადა რომ გავა, საპლანეტათშორისო სადგური დედამიწის ატმოსფეროს მკვრივ შრეებში შევა და იქ დაიწვება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

გუშინ კრემლში

27 ოქტომბერს მოსკოვში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ.

საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს დეპუტატები შეიკრიბნენ დედაქალაქში იმ დღეებში, რომლებიც აღნიშნულია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენებით. ჩვენი ქვეყნის ხალხები წარმატებით ახორციელებენ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმას, რომელიც მიიღო სკკპ XXI ყრილობამ. ჩვენმა სამშობლომ ახალი შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა კოსმოსის დაპყრობაში. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულმა მოგზაურობამ ამერიკის შეერთებულ შტატებში და მის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში შეტანილმა წინადადებამ სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ დედამიწის მილიონობით უბრალო ადამიანს იმის იმედი ჩაუსახა გულში, რომ შეწყდება „ცივი ომი" და მსოფლიოში ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობა დამყარდება.

დილის 10 საათზე კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში გაიხსნა **კავშირის საბჭოს** პირველი სხდომა. თავმჯდომარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **პ. პ. ლობანოვი**. ამავე დროს კრემლის თეატრის შენობაში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ვ. პეივეს** თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა **ეროვნებათა საბჭოს** სხდომა. დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

კავშირის საბჭომ მოისმინა და დაამტკიცა პალატის სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ლ. ნ. ეფრემოვის** მოხსენება ოთხ საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად კავშირის საბჭოს დეპუტატების არჩევის შესახებ.

კავშირის საბჭომ შემდეგ უზბეკეთის სსრ დეპუტატთა ჯგუფის წინადადებით კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია დეპუტატი რ. ყურბანოვი და ამ მოვალეობისაგან გაათავისუფლა დეპუტატი ს. კ. კამალოვი. აზერბაიჯანის სსრ დეპუტატთა ჯგუფის წინადადებით კავშირის საბჭომ პალატის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია დეპუტატი შ. მ. გასანოვი და ამ მოვალეობისაგან გაათავისუფლა დეპუტატი ი. დ. მუსტაფაევი.

ეროვნებათა საბჭომ მოისმინა და დაამტკიცა პალატის სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ს. ვ. ჩერვონენკოს** მოხსენება ყალმუხეთის ასსრ 11 საარჩევნო ოლქსა და ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ერთ საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების არჩევის შესახებ.

შემდეგ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს ცალ-ცალკე სხდომებზე დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

სესია განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმა.
2. სსრ კავშირის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
3. პროექტი კანონისა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.
4. პროექტი კანონისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ.
5. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და საგარეო პოლიტიკა.
6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დილის 11 საათზე კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში კავშირის საბჭოს თავმჯდომარის პ. პ. ლობანოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა **კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს** გაერთიანებული სხდომა.

დარბაზში არის მრავალი სტუმარი, სავსეა დიპლომატიური კორპუსის, საბჭოთა და უცხოეთის პრესის ლოჟები. მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალბერზინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი**, რომელთაც დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება.

სესია იწყებს დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, დეპუტატ **ა. ნ. კოსიგინს**.

წლევანდელი წელიწადი, — ამბობს ამხ. ა. ნ. კოსიგინი, — შვიდწლედის პირველი წელიწადი, [illegible]

ჩვენი [illegible] მოვლენა [illegible] მეთაურის [illegible] შტატებში [illegible] სხვადასხვა [illegible] ქვეყნების [illegible]

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში მ. დეჟანი

27 ოქტომბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში მ. დეჟანი მისი თხოვნით და საუბარი ჰქონდა მასთან. საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

გუშინ კრემლში

(დასასრული)

ჩვენი პარტიისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის, როცა ჩვენი მთავრობის მეთაურმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას წარუდგინა საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა, რომელიც შეესაბამება მთელი მსოფლიოს ხალხთა მისწრაფებასა და სასიცოცხლო ინტერესებს.

ლაპარაკობს რა სახალხო მეურნეობის განვითარებაზე მიმდინარე წელს, ა. ნ. კოსიგინი აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა დიდ აღმავლობას განიცდის. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო წლიურ დავალებებს, რომლებიც გათვალისწინებულია შვიდწლედით. მრეწველობის პროდუქციის გამოშვების გეგმა დაახლოებით 4 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდება. საწარმოო დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკა. გეგმის გადამეტებით წარმოებულ იქნება დიდძალი შავი და ფერადი ლითონი, ქვანახშირი, ნავთობი, ელექტროენერგია, უმნიშვნელოვანეს სახეობათა ქიმიური პროდუქცია, ბევრი მანქანა და მოწყობილობა, საშენი მასალები, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონელი.

წარმოების საშუალებათა წარმოება 1959 წელს დიდდება 12 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება — 10,5 პროცენტით.

1959 წლის გეგმის შესრულების დიდმნიშვნელოვანი დადებითი შედეგია შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებათა გადაჭარბებით შესრულება.

სოფლის მეურნეობაში უკანასკნელ წლებში პარტიამ განახორციელა უდიდესი ღონისძიებანი, რომლებმაც გამოავლინეს უდიდესი შესაძლებლობანი და უზრუნველყვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში ამინდის არახელსაყრელი პირობები იყო, მიმდინარე წელს მარცვლეულის, შაქრის ჭარხლისა და მთელი რიგი სხვა კულტურების მთლიან მოსავალს მეტს მოველით, ვიდრე საშუალო წლიური მოსავალი იყო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე. აღებულ იქნება ბამბის უხვი მოსავალი. ვადამდე შესრულდა ხორცის, კვერცხის, მატყლის სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმა. წარმატებით სრულდება რძის გეგმა.

1959 წლის შედეგები მკაფიოდ მოწმობენ, რომ წარმატებით ხორციელდება ამოცანები, რომლებიც პარტიის XXI ყრილობამ დასახა.

ამხ. კოსიგინმა ჩამოაყალიბა შვიდწლედის მეორე წლის გეგმის ძირითადი მაჩვენებლები. 1960 წელს ჩვენი ქვეყანა გადადგამს ახალ დიდ ნაბიჯს ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაჭრისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების გზაზე. შვიდწლედის პირველ წელს მიღწეული წარმატებანი და წარმოების ზრდის გამოვლინებული დამატებითი რეზერვები შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ უფრო დიდი დავალებანი 1960 წლისათვის იმასთან შედარებით, რაც გათვალისწინებული იყო შვიდწლიანი გეგმის გაანგარიშებებით. შვიდწლედის პირველ ორ წელიწადში საკონტროლო ციფრების დავალებანი სამრეწველო წარმოებაში შესრულდება დაახლოებით 100 მილიარდი მანეთის გადაჭარბებით. 1960 წელს გათვალისწინებულია თითქმის სამი მილიონი ტონით მეტი ფოლადის წარმოება, ვიდრე საკონტროლო ციფრების გაანგარიშებებით, ნაგლინისა — თითქმის 2 მილიონი ტონით მეტი.

ამრიგად, 1960 წელს შეიქმნება მტკიცე საფუძველი შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

1960 წელს დიდი ღონისძიებანი განხორციელდება ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის. წლის დამლევამდე უნდა დამთავრდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშათა და მოსამსახურეთა გადაყვანა 6 და 7 საათის სამუშაო დღეზე. შემდგომ ფართოდ განვითარდება საბინაო მშენებლობა, აგრეთვე კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების მშენებლობა.

მომხსენებელმა შემდეგ დაახასიათა გეგმის დავალებანი სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით. მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1960 წელს მიმდინარე წელთან შედარებით გადიდდება 8,1 პროცენტით. ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება გადიდდება 8,8 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება — 6,4 პროცენტით.

გეგმით გათვალისწინებულია დიდი ღონისძიებანი შავი მეტალურგიის განვითარებისათვის. დასახულია გადიდდეს თუჯის წარმოება 9 პროცენტით, ფოლადისა — 8 პროცენტით, ნაგლინისა — 7 პროცენტით, მილებისა — 12 პროცენტით. მომავალ წელს ფოლადის გამოდნობა ჩვენს ქვეყანაში მიაღწევს თითქმის 65 მილიონ ტონას. რკინის მადნის მოპოვება გადააჭარბებს 105 მილიონ ტონას.

1960 წელს დასახულია განხორციელდეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების დასანერგავად შავი მეტალურგიის ქარხნებში. ამუშავდება პირველი 600 ტონიანი ავტომატიზებული მარტენის ღუმელები, რამდენიმე დიდი ბრძმედი, მათ შორის 2 ათასი კუბური მეტრი მარგი მოცულობის ბრძმედი. მნიშვნელოვნად გადიდდება ბუნებრივი გაზისა და ჟანგბადის ბერვის გამოყენება თუჯისა და ფოლადის წარმოებაში. 1960 წელს დონბასში ამუშავდება მსოფლიოს ყველაზე დიდი დანადგარი ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმისათვის.

გათვალისწინებულია შემდგომ გადიდდეს ფერადი ლითონების, იშვიათი და ძვირფასი ლითონების წარმოება, აგრეთვე მნიშვნელოვნად გადიდდეს ალმასის მოპოვება. სწრაფი ტემპით განვითარდება ქიმიური მრეწველობა. დასახულია 10 პროცენტით გადიდდეს მისი პროდუქციის საერთო მოცულობა, აქედან პლასტიკური მასების წარმოება — 20 პროცენტით, ქიმიური ბოჭკოსი — 17 პროცენტით, მნიშვნელოვნად გადიდდება სინთეზური კაუჩუკის წარმოება.

გეგმით გათვალისწინებულია სათბობის მრეწველობის შემდგომი განვითარება და სათბობის ბალანსის სტრუქტურის გაუმჯობესება, როგორც განისაზღვრა ეს სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით. ნავთობის მოპოვება 1960 წელს გადიდდება თითქმის 15 მილიონი ტონით და შეადგენს 144 მილიონ ტონას, გაზის მოპოვება გადიდდება ერთი მესამედით და უფრო მეტად და გადააჭარბებს 53 მილიარდ კუბურ მეტრს. ქვანახშირის ამოღება გადიდდება 1,7 პროცენტით, ამასთან უმთავრესად გადიდდება კოქსვადი ქვანახშირის ამოღება.

1960 წელს სახალხო მეურნეობას აღარ ექნება სათბობის ნაკლებობა და შესაძლებლობა მიეცემა გამოჰყოს მისი მნიშვნელოვანი რაოდენობა ფართო ბაზრისა და ექსპორტისათვის.

ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა, ისევე როგორც წინა წლებში, გაუსწრებს მრეწველობის განვითარებას. მომავალ წელს დასახულია გამომუშავებულ იქნეს 291 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ანუ 11,2 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის წარმოება დასახულია გადიდდეს 12 პროცენტით. გათვალისწინებულია უფრო სწრაფი ტემპით გადიდდეს მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვება მძიმე ინდუსტრიის ისეთი წამყვანი დარგებისათვის, როგორიც არის მეტალურგია, ქიმია, ნავთობისა და გაზის მრეწველობა, ელექტროსადგურები, მნიშვნელოვნად გადიდდეს აგრეთვე მოწყობილობის გამოშვება მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის. ფართოვდება მანქანების წარმოება სამუშაოთა მექანიზაციისათვის მეცხოველეობაში და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციისათვის. 1960 წელს დაიწყება 400-მდე უმნიშვნელოვანესი სახეობის მოწყობილობის სერიული წარმოება, შემუშავებულ და დამზადებულ იქნება 1.400-ზე მეტი საცდელი ნიმუშის მანქანა, მექანიზმი და ხელსაწყო; დაგეგმილია წარმოებიდან მოიხსნას 500-ზე მეტი სახეობის მოძველებული მოწყობილობა.

გამოიყოფა დიდი მატერიალური რესურსები და კაპიტალური დაბანდება ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის. მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1960 წელს 1959 წელთან შედარებით გადიდდება თითქმის 9 მილიარდი მანეთით. (საწარმოთა საბითუმო ფასებით). დასახულია ქსოვილების წარმოება აყვანილ იქნას 7.900 მილიონ მეტრამდე, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 548,3 მილიონ ცალამდე და ტყავის ფეხსაცმლისა — 407,5 მილიონ წყვილამდე. გადიდდება მელანჟის, სელისა და კამვოლის შალის ქსოვილების. მკვიდრად შეღებილი ქსოვილების, რანტიანი ფეხსაცმლისა და სხვა საქონლის გამოშვება, რომლებზეც მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნაა.

1960 წელს მნიშვნელოვნად განვითარდება კვების მრეწველობა. დაგეგმილია ახალი შაქრის ქარხნების, ზეთსახდელი, ყველისა და რძის საწარმოების, ხორცის კომბინატების, მაცივრების დიდი მშენებლობა. საწარმოო სიმძლავრეთა საერთო მატების თითქმის ორი მესამედი კვების მრეწველობის ძირითად დარგებში უზრუნველყოფილ იქნება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით.

შეეხო რა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საკითხებს, ა. ნ. კოსიგინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა მკვეთრი აღმავლობის გზას ადგას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1958 წელი) პლენუმის გადაწყვეტილებანი წარმატებით ხორციელდება. უკანასკნელ ხუთ წელიწადში (1954-1958 წლები) სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიურმა მატებამ შეადგინა 8,6 პროცენტი. ზრდის ასეთი ტემპი ჩვენ ჯერ არ გვქონია. ეს წარმატებანი ჩვენი პარტიის ბრძნული პოლიტიკის, მისი უდიდესი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია, სოფლის მეურნეობის მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგია.

მარცვლეულის მთლიანმა მოსავალმა 1960 წელს უნდა შეადგინოს დაახლოებით 9,3 მილიარდი ფუთი. ხორცის წარმოება გადიდდება 10.6 მილიონ ტონამდე დაკლული წონით. დაგეგმილია მიღებულ იქნას თითქმის 72 მილიონი ტონა რძე, ანუ 336 კილოგრამი ერთ სულ მოსახლეზე 330 კილოგრამთან შედარებით, რაც მიღებულია შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში. საჭიროა უზრუნველვყოთ შაქრის ჭარხლის, ბამბის, სელის ბოჭკოს, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდა, გავაფართოოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა, გავადიდოთ პირუტყვის სულადობა და გავზარდოთ მისი პროდუქტიულობა.

შემდგომ განმტკიცდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა. მომავალ წელს იგი მიიღებს 152 ათასზე მეტ ტრაქტორს, 135 ათას ტრაქტორის გუთანს, 108 ათას ტრაქტორის სათეს მანქანას, 54 ათას მარცვლეულის ასაღებ თვითმავალ კომბაინს და 53 ათას სამკალს.

ხორციელდება ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო მანქანების კონსტრუქციისა და მათი ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სახელმწიფო 1960 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოჰყოფს 19 მილიარდ მანეთზე მეტ კაპიტალურ დაბანდებას.

მომხსენებელი შეეხო ტრანსპორტის განვითარების საკითხებს. დიდი ღონისძიებანი განხორციელდება ტრანსპორტის შემდგომი ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის. დასახულია 2.140 კილომეტრი რკინიგზის ელექტროფიკაცია. 1960 წლის დამლევისათვის ფოლადის მაგისტრალების სიგრძე ელექტრო და დიზელის წევით მიაღწევს 34 ათას კილომეტრს. საერთო ტვირთბრუნვაში თბომავლებისა და ელმავლების ტვირთზიდვა გადიდდება 33 პროცენტიდან 41 პროცენტამდე. დასახულია აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს დაახლოებით 1.300 კილომეტრი საერთო სიგრძის მთელი რიგი ახალი რკინიგზის ხაზები, უმთავრესად ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. შემდგომ განვითარდება წყლისა და ავტომობილის ტრანსპორტი. მნიშვნელოვნად გადიდდება მგზავრების გადაყვანა თვითმფრინავებით.

1960 წელს გათვალისწინებულია კაპიტალური მშენებლობის დიდი პროგრამა. კაპიტალური დაბანდების მოცულობა სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულია 255,5 მილიარდი მანეთის ოდენობით. კაპიტალური დაბანდების საერთო ზრდა 1959 წელთან შედარებით შეადგენს დაახლოებით 11 პროცენტს. ამასთან ქიმიურ მრეწველობაში იგი გადიდდება 30 და მეტი პროცენტით, მეტალურგიაში — 20 პროცენტით, ნავთობისა და გაზის მრეწველობაში — 15 და მეტი პროცენტით.

საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონების განვითარებას მოხმარდება დაახლოებით 100 მილიარდი მანეთი, ანუ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის გათვალისწინებული კაპიტალდაბანდების საერთო მოცულობის 40 პროცენტი.

საბინაო მშენებლობის მასშტაბითა და ტემპით საბჭოთა კავშირს ახლა პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. 1960 წელს საბინაო, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის გამოყოფილია 64 მილიარდ მანეთზე მეტი, რაც შეადგენს სახალხო მეურნეობისათვის გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდების მთელი მოცულობის ერთ მეოთხედ ნაწილს. 1959 წელს აშენდება 80 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ხოლო 1960 წელს — 101 მილიონი კვადრატული მეტრი. რომ წარმოვიდგინოთ საბინაო მშენებლობის მასშტაბი, საკმარისია აღინიშნოს, რომ საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა 1959-1960 წლებში უდრის რევოლუციამდელი რუსეთის მთელ საბინაო ფონდს.

1960 წლის გეგმა ითვალისწინებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

1960 წლის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია გადიდდეს შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 5.8 პროცენტით. ეს ნიშნავს, რომ მრეწველობის პროდუქციის მთელი წლიური მატების სამი მეოთხედი მიღებულ იქნება შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად. მშენებლობაში იგი გადიდდება 7 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების დასახული ზრდა უზრუნველყოფილ იქნება საწარმოთა და მშენებლობათა ტექნიკური შეიარაღების გადიდების შედეგად.

1960 წლის გეგმით დასახულია შემცირდეს მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება 1959 წელთან შედარებით 1.9 პროცენტით, და რკინიგზის ტვირთზიდვისა — 2,5 პროცენტით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება 1959 წლის ფაქტიურ დონესთან შედარებით უნდა შემცირდეს 1.5 პროცენტით. წარმოების ხარჯების შემცირების დავალებათა შესრულება შესაძლებელს გახდის დაიზოგოს 30 მილიარდ მანეთზე მეტი.

შეეხო რა საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, ა. ნ. კოსიგინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენმა პარტიამ დასახა ამოცანა მიაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა ადამიანებს ჰქონდეთ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე. ჩვენი ეკონომიკის განვითარების წარმატებანი ეჭვს არ იწვევენ, რომ ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრება. 1960 წელს ეროვნული შემოსავალი დაახლოებით 9 პროცენტით გადიდდება მუშათა. მოსამსახურეთა და გლეხთა რეალური შემოსავალი 1960 წელს ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით საშუალოდ 5 პროცენტით გაიზრდება. 1960 წელს აშენდება დაახლოებით 2,4 მილიონი ბინა, ახალ კეთილმოწყობილ სახლებში შესახლდება 10 მილიონამდე კაცი. ამას გარდა, კოლმეურნეები და სოფლის ინტელიგენცია 1960 წელს ააშენებს 1 მილიონამდე საცხოვრებელ სახლს.

საცალო საქონელბრუნვის მოცულობა მომავალ წელს დაახლოებით 50 მილიარდი მანეთით გადიდდება და გაიზრდება 765 მილიარდ მანეთამდე. მნიშვნელოვნად გადიდდება ხორცის, ხორცის პროდუქტების, რძის, კარაქის, კვერცხის, შაქრის, ხილის გაყიდვა.

1960 წელს გაგრძელდება საშუალო სკოლის გარდაქმნა მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან სწავლების შეერთების საფუძველზე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი გადიდდება 2,4 მილიონი კაცით.

ფართოვდება და უმჯობესდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადება. ინჟინრების გამოშვება 1960 წელს მიაღწევს 119 ათას კაცს და იქნება სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე გამოშვებული იყო ინჟინრები ამერიკის შეერთებულ შტატებში 1958 წელს.

დიდი თანხაა ასიგნებული ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის. გეგმა ითვალისწინებს საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების მშენებლობის გაფართოებასა და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის განვითარება ქმნის ახალ შესაძლებლობებს ურთიერთ სასარგებლო სავაჭრო და სხვა ეკონომიური ურთიერთობის გასაფართოებლად უცხო ქვეყნებთან. ამხ. კოსიგინი ამბობს, რომ შვიდწლედის მარტო ორ პირველ წელიწადში ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბრუნვა უნდა გადიდდეს 25 პროცენტით.

სსრ კავშირის სამეურნეო განვითარების წარმატებანი დამაჯერებლად ცხადყოფენ. ამბობს ა. ნ. კოსიგინი, რომ საბჭოთა ხალხი წარმატებით წყვეტს კაპიტალიზმთან შეჯიბრებაში დროის მაქსიმალური მოგების ამოცანას. ჩვენ 1959-1960 წლებში გავივლით ისეთ გზას, რასაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოანდომეს გაცილებით მეტი დრო. შვიდწლიანი გეგმის ორი წლის მონაცემები გვარწმუნებენ, რომ შვიდწლიანი გეგმა არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შესრულდება. ეს იმის უტყუარი საწინდარია, რომ ჩვენ დავეწევით შეერთებულ შტატებს შედარებით მოკლე ვადებში.

ჩვენი გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების წყაროა, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. კოსიგინი, მასების შრომითი აქტივობა, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის — მთელი დიდი საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომა. კომუნიზმის აშენების ისტორიული ამოცანებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი, მჭიდროდ დარაზმული პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, თავისი თავდადებული შრომით უზრუნველყოფს 1960 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. ეს იქნება დიდი წვლილი შვიდწლიანი გეგმის შესრულების საქმეში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

შემდეგ, სსრ კავშირის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ **ვ. ფ. გარბუზოვმა**.

სსრ კავშირის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეაქვს უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად, ამბობს მომხსენებელი, ასახავს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ მძლავრ აღმავლობას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებას. პროექტი ითვალისწინებს ყველა იმ ღონისძიებს განსახორციელებლად საჭირო სახსრებს, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით მომავალი წლისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება 1959 წელს მოსალოდნელია შემოსავლის ნაწილში 735,8 მილიარდი მანეთის ოდენობით, გასავლისა — 698,8 მილიარდი მანეთის ოდენობით. შემოსავალი გასავალს აღემატება დაახლოებით 37 მილიარდი მანეთით.

სსრ კავშირის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარდგენილია უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შემდეგი ოდენობით: შემოსავალი — 772,1 მილიარდი მანეთი, გასავალი — 744,8 მილიარდი მანეთი, შემოსავალი გასავალს აღემატება 27,3 მილიარდი მანეთით. მიმდინარე წელთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავალი იზრდება 48,8 მილიარდი მანეთით.

ბიუჯეტის შემოსავალში, ისევე როგორც წინა წლებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მეურნეობისაგან შემოსულობას, რომელიც 1960 წელს შეადგენს 700 მილიარდ მანეთზე მეტს, ანუ ბიუჯეტის მთელი შემოსავლის ცხრა მეათედზე მეტს. მოსახლეობის გადასახადთა ხვედრითი წონა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში მცირდება 1959 წლის 7,8 პროცენტიდან 7,4 პროცენტამდე 1960 წელს.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი 1960 წელს დაპროექტებულია 744,8 მილიარდი მანეთის ოდენობით. სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის დასახულია დაიხარჯოს 327,8 მილიარდი მანეთი, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — 247,4 მილიარდი მანეთი, ქვეყნის თავდაცვისათვის — 96,1 მილიარდი მანეთი და სახელმწიფოს მართვისათვის — 11,1 მილიარდი მანეთი. კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებას, საბრუნავი სახსრების მატებასა და სხვა ხარჯებს, გარდა საბიუჯეტო ასიგნებებისა, ხმარდება აგრეთვე თვით საწარმოთა და ორგანიზაციათა შინარესურსები 194,6 მილიარდი მანეთის ოდენობით, ამიტომ სახალხო მეურნეობისათვის დანახარჯის საერთო თანხა 1960 წელს შეადგენს 522,4 მილიარდ მანეთს — 37,9 მილიარდი მანეთით მეტს, ვიდრე 1959 წელს.

იბრძვის რა მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ღონისძიებით განვითარებისათვის, საბჭოთა კავშირმა, აღნიშნავს ამხ. გარბუზოვი, უკანასკნელ წლებში ბევრად შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები და ქვეყნის თავდაცვის ხარჯები. სსრ კავშირის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ეს ხარჯები რჩება 1959 წლის დონეზე და მათი ხვედრითი წონა ბიუჯეტში შეადგენს 12,9 პროცენტს, ნაცვლად 19,9 პროცენტისა 1955 წელს.

სსრ კავშირის 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტები დასახულია 387,3 მილიარდი მანეთით.

საერთო ოდენობით მიმდინარე წელთან შედარებით გადიდებულია 43,7 მილიარდი მანეთით.

ამხ. გარბუზოვი ხაზს უსვამს, რომ მთელი სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის ინტერესებისათვის სახალხო მეურნეობისათვის გამოყოფილ სახელმწიფო ასიგნებათა ძირითადი ნაწილი ხმარდება მრეწველობის და უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრიის განვითარებას.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის 1960 წელს გათვალისწინებულია დაიხარჯოს 50,6 მილიარდი მანეთი, ანუ 11,1 პროცენტით მეტი, ვიდრე დაგეგმილია მიმდინარე წელს.

ჩვენი სახელმწიფო, ამბობს ამხ. გარბუზოვი, ყოველთვის ზრუნავს იმისათვის, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნა მოხმარების საგნებზე და დიდ ყურადღებას უთმობს ვაჭრობის განვითარებასა და სავაჭრო ორგანიზაციათა მუშაობის გაუმჯობესებას. საცალო საქონელბრუნვა 1960 წელს გაიზრდება თითქმის 50 მილიარდი მანეთით, ანუ 6,9 პროცენტით. დიდი თანხებია გამოყოფილი სავაჭრო ქსელის გასაფართოებლად, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოსაწყობად, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციების საბრუნავი სახსრების გასადიდებლად.

ბიუჯეტში ასახულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვა საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური დონისა და კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის. ბიუჯეტის პროექტში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები განსაზღვრულია 247,4 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც 15,2 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე 1959 წელს. იზრდება ასიგნებანი განათლებისათვის, კადრების მომზადებისათვის, მეცნიერებისა და კულტურისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურისათვის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევისა და უზრუნველყოფისათვის. მუშა-მოსამსახურეთა შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანისა და ხელფასის მოწესრიგების დამთავრების ვადების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების განსახორციელებლად ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 14 მილიარდი მანეთი, აქედან ბიუჯეტის ხარჯზე 11 მილიარდი მანეთი.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, აღნიშნავს მომხსენებელი, არის საბინაო მშენებლობის დიდი პროგრამის განხორციელება. 1960 წლის სახელმწიფო გეგმით საბინაო მშენებლობის ხარჯები განსაზღვრულია 47,1 მილიარდი მანეთის ოდენობით. გარდა ამისა, საბინაო მშენებლობას მოხმარდება დაახლოებით 6 მილიარდი მანეთი საწარმოთა ფონდის ზეგეგმითი მოგებისა და სამეურნეო ორგანიზაციათა სხვა წყაროებიდან. სამშენებლო ბანკისა და სახელმწიფო ბანკის კრედიტები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის დასახულია 4,4 მილიარდი მანეთის ოდენობით.

დიდი ასიგნებანი გათვალისწინებულია კომუნალური მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, ქალაქების, რაიონის სასოფლო ცენტრებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის, აგრეთვე საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის.

ამხ. გარბუზოვი ამბობს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო 1960 წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარადგენს სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს შემოსავლის ნაწილში 672,3 მილიარდი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 642,7 მილიარდი მანეთის ოდენობით. შემოსავალმა გასავალს გადაამეტა 29,6 მილიარდი მანეთით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების სხდომებზე

1959 წლის 26 ოქტომბერს კრემლში ამხანაგების დ. ს. პოლიანსკისა და დ. რ. რასულოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების სხდომა.

კომისიებმა მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის განსახილველად შეიტანონ პროექტი კანონისა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ და პროექტი კანონისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ.

კომისიათა სხდომებმა განიხილეს აგრეთვე სხვა საკითხები.

ყურძნის დამზადების წლიური გეგმის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკაში 1959 წლის 25 ოქტომბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	პროცენტი
აფხაზეთის ასსრ	2.800	1.246	44,5
აჭარის ასსრ	400	—	—
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	950	125	13,2
ქალ. თბილისი-სამგორის რაიონი	1.700	880	51,8
გურჯაანის	19.850	23.358	117,7
სიღნაღის	8.700	10.208	117,3
თელავის	16.000	15.850	99.1
წულუკიძის	110	—	—
ონის	500	—	—
ცხაკაიას	400	—	—
სამტრედიის	300	—	—
წალენჯიხის	350	—	—
ჩხოროწყუს	350	—	—
მახარაძის	200	4	2,0
ახალციხის	220	156	70,9
ხაშურის	800	417	52,1
ქარელის	400	221	55,3
გორის	1.200	1.650	39,3
კასპის	3.600	1.974	54,8
წითელწყაროს	1.600	1.890	118,1
ახმეტის	4.300	3.556	82,7
ყვარლის	9.600	7.384	76,9
ლაგოდეხის	1.200	960	80,0
მცხეთის	1.600	998	62,4
მარნეულის	3.400	1.587	46,7
ბოლნისის	5.000	1.572	31,4
დუშეთის	470	—	—
თეთრი წყაროს	300	84	28,0
საგარეჯოს	4.650	4.636	99,7
წყალტუბოს	2.665	483	18,1
ვანის	4.800	1.468	30,6
მაიაკოვსკის	7.000	3.459	49,4
ზესტაფონის	15.250	9.562	62,7
თერჯოლის	8.795	5.282	60,5
ქალაქი ქუთაისი	1.500	518	34,5
საჩხერის	3.000	1.684	56,1
ორჯონიკიძის	6.000	1.994	33,2
ტყიბულის	100	—	—
ამბროლაურის	3.200	2.116	66,1
ცაგერის	3.000	—	—
გეგეჭკორის	800	—	—
ზუგდიდის	1.000	65	6,5
ჩოხატაურის	1.000	71	7,1
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	152.000	105.458	69,4

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

გულითადი გაცილება

◆

პოლონეთის კულტურის მოღვაწეები სამშობლოში გაემგზავრნენ

◆

თბილისის საზოგადოებრიობამ 27 ოქტომბერს გულითადად გააცილა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები — საქართველოში პოლონური კულტურის კვირეულის მონაწილენი. მიუხედავად იმისა, რომ ადრე იყო, თბილისის აეროპორტში შეიკრიბნენ მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სტუდენტები, ჟურნალისტები.

გამცილებელთა შორის იყვნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილეები ვ. ჭიაურელი, ვ. ქიქოძე, [illegible] ფოფხაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ქორიძე, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ე. ხარაძე და სხვები.

შეკრებილნი გულთბილად გამოეთხოვნენ სახელოვანი პოლონელი ხალხის ღირსეულ წარმომადგენლებს, მიართვეს ყვავილების თაიგულები.

დელეგაციის მეთაურმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წევრმა, კულტურისა და ხელოვნების მინისტრის მოადგილემ კაზიმეჟ რუსინეკმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს:

— საქართველოში პოლონური კულტურის კვირეული, ისევე როგორც ქართული კულტურის დღეები ჩვენს ქვეყანაში, იყო ჩვენი სოციალისტური კულტურების მომხიბვლელი დღესასწაული, ახალი მკაფიო გამოვლინება პოლონელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა, რომელიც დღითიდღე მტკიცდება. ჩვენი დელეგაციის წევრებს თან მიჰყვებათ დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი საბჭოთა საქართველოს შესახებ.

მსოფლიო გაოცებული შესცქერის ცას!

მესამე საბჭოთა კოსმოსური რაკეტა

ფოტოგრაფირება და გამოსახულების გადაცემა

ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურიდან მთვარის უხილავი მხარის ფოტოგადაღებისა და გამოსახულების გადმოცემის საშუალებათა კომპლექსის დამუშავებისას წარმატებით იქნა გადაჭრილი ამოცანა ფოტოსატელევიზიო სისტემის შექმნისა ხარისხიანი ნახევარტონური გამოსახულების მისაღებად და ისეთ მანძილებზე გადასაცემად, რომლებიც ასეულ ათასობით კილომეტრით იზომება.

ამასთან გადაჭრილ იქნა მთელი რიგი რთული სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები.

ფოტოგადაღებისას ორიენტაციის სისტემამ უზრუნველყო ავტომატური სადგურის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც გადამღები ობიექტივების მხედველობის არეში მთვარის დისკო იყო.

ფოტოსატელევიზიო აპარატურის კონსტრუქციულმა შესრულებამ უზრუნველყო მისი მუშაობისუნარიანობა კოსმოსური ფრენის რთულ პირობებში; უზრუნველყოფილ იქნა ფოტომასალების დაცულობა კოსმოსური გამოსხივების მავნე ზეგავლენის პირობებში, ფოტომასალების დამუშავების ბლოკისა და აპარატურის სხვა ბლოკების ნორმალური მუშაობა უწონობის პირობებში.

გადაღება დაიწყო განკარგულების სიგნალით მას შემდეგ, რაც ობიექტივები მიმართული იყო მთვარისაკენ. გადაღებისა და ფირის დამუშავების მთელი შემდგომი პროცესი წარმოებდა მოცემული პროგრამით ავტომატურად. გადაღება წარმოებდა სპეციალურ 35-მილიმეტრიან ფოტოფირზე, რომელიც უძლებს მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებას.

კოსმოსური გამოსხივების მოქმედებით ფირის ვუალირების თავიდან აცილებისათვის გათვალისწინებული იყო სპეციალური დაცვა, რომელიც ამორჩეულ იქნა საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების შემწეობით ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე.

გადაღების დამთავრების შემდეგ ფირი გადავიდა ავტომატური დამუშავების მცირეგაბარიტიან მოწყობილობაში, სადაც წარმოებდა მისი გამოვლინება და ფიქსირება.

დამუშავებისათვის გამოყენებული იყო სპეციალური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ნეგატივის პარამეტრების მცირე დამოკიდებულებას ტემპერატურაზე. მიღებულ იქნა საჭირო ზომები უწონობის პირობებში დამუშავების პროცესის დარღვევის თავიდან ასაცილებლად. ფირის დამუშავების შემდეგ ხდებოდა მისი გაშრობა და ტენის შთანთქმა, რამაც უზრუნველყო ფირის ხანგრძლივი დაცულობა. დამუშავების დამთავრების შემდეგ ფირი გადავიდა სპეციალურ კასეტში და მომზადებულ იქნა გამოსახულების გადასაცემად.

ფირზე წინასწარ ექსპონირებული იყო გამოსაცდელი ნიშნები, რომელთა ნაწილი გამოვლინებულ იქნა ჯერ კიდევ დედამიწაზე, ხოლო მეორე ნაწილი გამოვლინებულია სადგურზე იმ გადაღებული კადრების დამუშავების პროცესში, რომლებზეც გამოსახულია მთვარის უკანა მხარე. ეს ნიშნები გადმოცემულ იქნა დედამიწაზე და მათ შესაძლებელი გახადეს გადაღების, გამოსახულებათა დამუშავებისა და გადმოცემის პროცესებისათვის კონტროლის გაწევა.

ნეგატიურ ფირზე არსებული გამოსახულების გარდაქმნისათვის ელექტროსიგნალებში გამოყენებულ იქნა გადაწყვეტის მაღალი უნარის მქონე გამჭვირი მცირეგაბარიტიანი ელექტრონულ-სხივური მილაკი და მაღალსტაბილური ფოტოელექტრონული მამრავლებელი.

დედამიწაზე გამოსახულებათა გადმოცემა ხორციელდებოდა იმის ანალოგიურად, როგორც ეს კეთდება სატელევიზიო ცენტრების მიერ კინოფილმების გადაცემის დროს.

ელექტრონულ-სხივური მილაკის სხივის გადახრისათვის გამოყენებულ იქნა ეკონომიური დაბალი სიხშირის განმფენი მოწყობილობანი. გამოსახულების სიგნალების გაძლიერება და ფორმირება ხორციელდებოდა სპეციალურად შემუშავებული ვიწროზოლიანი სტაბილიზებული გამაძლიერებლით, რომელსაც აქვს გამოსასვლელ სიგნალზე ნეგატივის საშუალო სიმკვრივის ცვლილების გავლენის ავტომატური კომპენსაციის მოწყობილობა. ყველა სქემა ძირითადად ნახევრადგამტარებზე იქნა შესრულებული.

გათვალისწინებულ იქნა გამოსახულების გადაცემა ორი რეჟიმის პირობებში: ნელი გადაცემა დიდ მანძილებზე და სწრაფი გადაცემა ახლო მანძილებზე, დედამიწასთან მიფრენისას.

სატელევიზიო სისტემა გადაცემის პირობებისაგან დამოკიდებით შესაძლებელს ხდიდა იმ სტრიქონების რიცხვის შეცვლას, რომლებადაც იყოფოდა გამოსახულება. სტრიქონების მაქსიმალური რიცხვი აღწევდა ათასს ერთ კადრზე.

გადამცემ და მიმღებ განმფენ მოწყობილობათა სინქრონიზაციისათვის გამოყენებული იყო მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს აპარატურის მაღალ დაბრკოლებამდგრადობას და მუშაობის საიმედოობას.

მთვარის გამოსახულებათა გადმოცემა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურიდან ხდებოდა კავშირგაბმულობის ხაზით, რომელიც ამავე დროს ეწეოდა თვით სადგურის მოძრაობის პარამეტრების გაზომვას, სახელდობრ მანძილის, სიჩქარისა და კუთხის კოორდინატების გაზომვას, აგრეთვე მეცნიერული ექსპერიმენტული შედეგების გადაცემას ტელემეტრიული აპარატურის შემწეობით. სადგურზე სხვადასხვა ხელსაწყოს ჩართვა და ამორთვა და მათი მუშაობის რეჟიმების შეცვლა წარმოებდა დედამიწიდან სადგურზე სპეციალური განკარგულებების გადაცემით იმავე რადიოხაზის შემწეობით.

მთვარის გამოსახულებათა გადმოცემა და სადგურთან რადიოკავშირის ხაზში ყველა სხვა ფუნქცია ხორციელდებოდა რადიოტალღების განუწყვეტელი გამოსხივებით (იმპულსური გამოსხივებისაგან განსხვავებით, რომელიც წინათ ზოგიერთ შემთხვევაში იყო გამოყენებული). რადიოკავშირის ერთიან ხაზში ფუნქციების ასეთი შეთავსება განუწყვეტელი გამოსხივებისას პირველად არის განხორციელებული და ამან შესაძლებელი გახადა საიმედო რადიოკავშირის უზრუნველყოფა თვით მაქსიმალურ მანძილებამდე სადგურზე ენერგიის მინიმალური დახარჯვისას.

სადგურთან რადიოკავშირის ხაზი შედგებოდა ორი ნაწილისაგან: „დედამიწა — სადგურის“ ხაზისა და „სადგური—დედამიწის“ ხაზისაგან, და შეიცავდა საგანმკარგულებლო მოწყობილობებს, მძლავრ რადიოგადამცემებს, მაღალგრძნობიერ მისაღებ და ალმნუსხავ მოწყობილობებს, კავშირგაბმულობის მიწისზედა პუნქტებზე განლაგებულ ანტენათა სისტემებს, აგრეთვე საპლანეტათშორისო სადგურზე დადგმულ გადამცემ, მიმღებ და ანტენათა მოწყობილობებს. გარდა ამისა სადგურზე მოთავსებული იყო საგანმკარგულებლო და საპროგრამო რადიოტექნიკური მოწყობილობანი.

რადიოკავშირის ხაზის მთელი აპარატურა როგორც სადგურზე, ისე მიწისზედა პუნქტებში დუბლირებული იყო კავშირგაბმულობის საიმედოობის გასაძლიერებლად. სადგურზე ერთ-ერთი რადიოტექნიკური ხელსაწყოს მწყობრიდან გამოსვლის ან მისი მუშაობის რესურსების ამოწურვის შემთხვევაში იგი შეიძლება შეცვლილ იქნას სარეზერვო ხელსაწყოთი მართვის მიწისზედა პუნქტიდან სათანადო განკარგულების მიცემის გზით.

მთვარის გამოსახულებათა გადმოცემა წარმოებდა დედამიწიდან განკარგულებების მიცემით. ამ განკარგულებებით ხდებოდა სადგურის სატელევიზიო აპარატურის კვების ჩართვა, ფოტოფირის გადაწევა და სატელევიზიო აპარატურის შეერთება სადგურის გადამცემებთან. ამის შედეგად დედამიწას გადმოეცემოდა იმ სტრიქონების გაყოლებით სიკაშკაშის ცვლილების კანონი, რომლებადაც გამოსახულება იყოფა.

რადიოკავშირის ხაზით გადმოცემული მეცნიერული ინფორმაციის მთელი მოცულობა, მათ შორის მთვარის გამოსახულების კადრებისაც, ბევრად სჭარბობდა ინფორმაციის იმ მოცულობას, რომელიც გადმოცემული იყო პირველი და მეორე საბჭოთა კოსმოსური რაკეტებიდან.

კოსმოსური რადიოგამოსხივების ხმაურის მნიშვნელოვანი დონის არსებობის პირობებში ამ ინფორმაციის საიმედო გადმოცემისათვის გამოყენებული იყო რადიოკავშირის განსაკუთრებით ეფექტიანი მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს სადგურზე არსებული კვების წყაროების ენერგიის მინიმალურ მოხმარებას.

ელექტროენერგიის ეკონომიის მოსაზრებებით სადგურზე დადგმული რადიოგადამცემების სიმძლავრე დაწესებულ იქნა რამდენიმე ვატის ოდენობით. სადგურის მიმღებ და გადამცემ რადიოაპარატურაში გამოყენებული იყო ნახევრადგამტარები და სხვა თანამედროვე მასალები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხელსაწყოების მინიმალური მოცულობისა და წონის მიღწევას.

იმ სიძნელეებზე, რომლებთანაც დაკავშირებული იყო საპლანეტათშორისო ავტომატურ სადგურთან საიმედო რადიოკავშირის უზრუნველყოფა, წარმოდგენას მოგვცემს ის, თუ გამოვიანგარიშებთ, სადგურის რადიოგადამცემის მიერ გამოსხივებული სიმძლავრის რა ნაწილი ხვდება მიწისზედა მიმღებ მოწყობილობაში.

იმისათვის, რომ სადგურთან კავშირი არ წყდებოდეს მისი ბრუნვის დროს, სადგურის ანტენები თანაბრად გამოასხივებენ რადიოსიგნალებს ყველა მიმართულებით ისე, რომ გამოსხივების სიმძლავრე, რომელიც ზედაპირის ერთეულზე მოდის, თანაბარი იქნება იმ წარმოსახვითი სფეროს ყველა წერტილისათვის, რომლის ცენტრშიც სადგური იმყოფება.

მიწისზედა მიმღებ ანტენაში ხვდება გამოსხივების სიმძლავრის ნაწილი, რომელსაც განსაზღვრავს მიმღები ანტენის ეფექტიანი ფართობის თანაფარდობა სფეროს ზედაპირთან, რომლის რადიუსი უდრის მანძილს სადგურიდან მიმღებ პუნქტამდე. ამიტომ სადგურიდან სიგნალების მისაღებად გამოყენებულია დიდი მიმღები ანტენები.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი დედამიწიდან სადგურის მაქსიმალური დაშორების დროს სადგურის გადამცემის გამოსხივების სიმძლავრის ის ნაწილი, რომელსაც ვიღებთ, იმ საშუალო სიმძლავრეზე 100 მილიონჯერ ნაკლებია, რომელსაც ჩვეულებრივი სატელევიზიო მიმღებით ვიღებთ. ასეთი სუსტი სიგნალების მისაღებად საჭიროა ძლიერ გრძნობიერი მიმღები მოწყობილობა, რომელსაც გამოსასვლელი ხმაურის მცირე დონე აქვს.

მიწისზედა მიმღები მოწყობილობის გამოსასვლელი ხმაური შედგება კოსმოსური რადიოგამოსხივების იმ ხმაურისაგან, რომელსაც ანტენა იღებს, და მიმღების საკუთარი ხმაურისაგან, რომელიც მთელი რიგი სპეციალური ზომებით მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ხმაურის დონის შემცირება, როგორც წესი, დაკავშირებულია ინფორმაციის გადაცემის სიჩქარის შემცირებასთან.

ნათქვამთან დაკავშირებით, რადიოკავშირის ხაზში გამოყენებულია სადგურზე და მიწისზედა მიმღებ პუნქტებში სიგნალების დამუშავებისა და გადაცემის ისეთი მეთოდები, რომელთა დროსაც მაქსიმალურად მცირდება ხმაურის დონე და რჩება გადაცემის დასაშვები სიჩქარე.

სადგურზე კვების წყაროების ეკონომიურმა გამოყენებამ, ისეთი რადიოკავშირის ხაზის არსებობამ, რომელსაც განუწყვეტელი გამოსხივება და შეთავსებული ფუნქციები აქვს, დედამიწაზე სპეციალური მიმღები ანტენების, მაღალგრძნობიერ მიმღებ მოწყობილობათა გამოყენებამ, სიგნალების დამუშავებისა და გადაცემის სპეციალური მეთოდების გამოყენებამ — ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგურთან საიმედო რადიოკავშირი, საგანმკარგულებლო რადიოხაზის უმტყუნებლად მოქმედება და მთვარის გამოსახულებათა და ტელემეტრიული მეცნიერული ინფორმაციის გეგმაზომიერი გადაღება.

სატელევიზიო გამოსახულების იმ სიგნალების რეგისტრაციას, რომლებსაც მიწისზედა მიმღები პუნქტები იღებდნენ, აწარმოებდა სხვადასხვა აპარატურა, რაც უზრუნველყოფდა საჭირო რეზერვირებას და შესაძლებელს ხდიდა გადაცემის მსვლელობისათვის კონტროლის გაწევას და რადიოკავშირის ხაზისა და ალმნუსხავ მოწყობილობათა თავისებურებებით გამოწვეულ სპეციფიკურ დამახინჯებათა თავიდან აცილებას.

მთვარის გამოსახულების სიგნალების ფიქსაცია წარმოებდა ფოტოფირზე სატელევიზიო გამოსახულებათა ალმნუსხავ სპეციალურ მოწყობილობებზე, მაგნიტური ჩაწერის აპარატებზე, რომლებსაც მაგნიტური ლენტის მოძრაობის სიჩქარის დიდი სტაბილობა აქვთ, სკიატრონებზე (ელექტრონულ-სხივურ მილაკებზე, რომლებიც დიდხანს ინახავენ გამოსახულებას ეკრანზე) და ღიად ჩაწერის აპარატებზე, რომლებშიც გამოსახულების ალმნუსხვა ელექტროქიმიურ ქაღალდზე ხდება. ალმნუსხვის ყველა სახით მიღებულ მასალებს იყენებენ მთვარის უხილავი ნაწილის შესწავლისას.

საპლანეტათშორისო ავტომატურ სადგურზე დადგმული სატელევიზიო სისტემის შემწეობით გამოსახულებათა გადაცემა ხორციელდებოდა 470 ათას კილომეტრამდე მანძილზე. ამით პირველად დამტკიცებულია ექსპერიმენტულად, რომ შესაძლებელია კოსმოსურ სივრცეში ზეშორ მანძილზე დიდი მკაფიობის ნახევარტონურ გამოსახულებათა გადაცემა ისე, რომ რადიოტალღების გავრცელების პროცესში არსებითი სპეციფიკური დამახინჯებები არ იყოს.



ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურის მდგომარეობა სივრცეში მთვარის უკანა მხარის ფოტოგრაფირებისას (ისრები მარჯვნივ უჩვენებენ მზის სხივების მიმართულებას).

* * *

რადიოგადამცემის მეტად მცირე სიმძლავრისას გამოსახულებათა ზეშორი გადაცემისათვის გამოყენებულია გამოსახულების გადაცემის ათეულობით ათასჯერ უფრო ნელი სიჩქარე, ვიდრე ჩვეულებრივი მაუწყებლობითი სატელევიზიო ცენტრების გადაცემის სიჩქარეა.

მთვარის მეორე მხარის პირველი ფოტოგადაღებისას მიზანშეწონილი იყო მისი უცნობი ზედაპირის რაც შეიძლება მეტი ნაწილის გადაღება. ამან გამოიწვია იმის აუცილებლობა, რომ გადაღებული ყოფილიყო მთლიანად განათებული დისკო, რომლის კონტრასტულობა მუდამ გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე გვერდითი განათებისას, რომელიც რელიეფის დეტალებისაგან ქმნის ჩრდილებს.

მცირეკონტრასტული სურათის უკეთ გადაცემისათვის ფოტოსატელევიზიო აპარატურაში გამოყენებულია გამჭვირი მილაკის სიკაშკაშის ავტომატური რეგულირება.

ცვალებად რეჟიმებში აპარატურის კომპლექსის საიმედო უსაწყობო მუშაობისათვის გამოყენებულ იქნა თვითმარეგულირებელი სქემების პრინციპები. ყველა რგოლის, მათ შორის ელექტრონული სქემების, ოპტიკური, მექანიკური და ფოტოქიმიური მოწყობილობის, მუშაობის შეთანხმება და მართვა ხორციელდებოდა ავტომატიკისა და პროგრამირების სპეციალური სისტემით.

საპლანეტათშორისო სადგურზე დადგმული ფოტოსატელევიზიო აპარატურა შეიცავს შემდეგ ძირითად მოწყობილობებს. ფოტოაპარატი ორი ობიექტივით, რომელთა ფოკუსური მანძილია 200 და 500 მილიმეტრი და რომელთა შემწეობით ხდებოდა ერთდროული გადაღება ორი სხვადასხვა მასშტაბით. ობიექტივი, რომლის ფოკუსური მანძილი 200 მილიმეტრია, იძლეოდა დისკოს ისეთ გამოსახულებას, რომელიც მთლიანად იწერებოდა კადრში. დიდი მასშტაბის გამოსახულება, რასაც იძლეოდა ობიექტივი, რომლის ფოკუსური მანძილი 500 მილიმეტრია, სცილდებოდა კადრის ფარგლებს და იძლეოდა მთვარის დისკოს ნაწილის უფრო დეტალურ გამოსახულებას.

გადაღება წარმოებდა ექსპოზიციის ავტომატური შეცვლით, რათა მიღებული ყოფილიყო ყველაზე უფრო ხელსაყრელი სიმკვრივის ნეგატივები, და გრძელდებოდა 40 წუთამდე, რომელთა განმავლობაში მთვარის მეორე მხარე მრავალჯერ იქნა გადაღებული.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთვარის უკანა მხარის წარმონაქმნთა სახელდების კომისიის ცნობა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. ა. მიხაილოვის თავმჯდომარეობით განიხილა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურიდან მიღებული ფოტოსურათების გამოკვლევის მასალები და დაამტკიცა მთვარის უკანა, დედამიწიდან უხილავ მხარეზე სარწმუნოდ დადგენილ წარმონაქმნთა სახელწოდებანი.

ახლად დადგენილი წარმონაქმნების ეს სახელწოდებანი და აღწერილობა გამოქვეყნდება სტატიაში „მესამე საბჭოთა კოსმოსური რაკეტა“.

მთვარის უკანა მხარეზე ახალი წარმონაქმნების გამოვლინების მიხედვით მათი სახელწოდებანი და აღწერილობა გამოქვეყნდება.

მოსკოვი. 1959 წ. 26 ოქტომბერი.



მთვარის უხილავი მხარე

თავისი ღერძის გარშემო მთვარის მოძრაობის პერიოდი ემთხვევა დედამიწის გარშემო მისი ბრუნვის პერიოდს, და ამიტომ მთვარე დედამიწისაკენ ყოველთვის ერთი და იმავე მხარით არის მიმართული. შორეულ წარსულში, მილიონობით წლების წინათ, მთვარე თავისი ღერძის გარშემო უფრო სწრაფად ბრუნავდა, ვიდრე ახლა, და ერთ ბრუნს რამდენიმე საათში აკეთებდა.

მოქცევის ხახუნის ძალებმა, რომლებიც გამოწვეულია მზისა და დედამიწის მიზიდულობით, დაამუხრუჭეს მთვარე, გაახანგრძლივეს ღერძის გარშემო მისი ბრუნვის პერიოდი, და იგი 27,32 დღე-ღამის ტოლი გახადეს.

რუკების შედგენა დღემდე შეიძლებოდა მთვარის მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომელიც დედამიწიდან ჩანს და რომლის ტელესკოპური შესწავლა უკვე 3,5 საუკუნეა გრძელდება. ამ რუკებზე აღნიშნავა რკალური მთები, მთაგრეხილები, მთვარის ნიადაგის ბნელი ნაწილები, რომლებსაც ზღვები ეწოდება და სხვა წარმონაქმნები.

დედამიწიდან მთვარის სფეროს ზუსტად ნახევარი როდი მოჩანს, არამედ რამდენადმე მეტი, სახელდობრ 59 პროცენტი. მთვარის ამ ნაწილში ბევრი წარმონაქმნი მდებარეობს, ხილული დისკოს ზედ კიდეზე, და ამიტომ არ შეიძლებოდა დეტალურად ყოფილიყო შესწავლილი ძლიერ პერსპექტიული დამახინჯებათა გამო. დედამიწიდან ნახევარ დისკოზე მეტის შესწავლა რომ შეიძლება, ეს აიხსნება მთვარის ეგრეთწოდებული ვიბრაციების არსებობით, ესე იგი დედამიწიდან დამკვირვებლისათვის მთვარის ქანაობით.

საპლანეტათშორისო კოსმოსური სადგურიდან მთვარის ფოტოგრაფირება იმ მომენტში წარმოებდა, როდესაც სადგური მზისა და მთვარის შემაერთებელ ხაზზე იმყოფებოდა, ანუ როდესაც სადგურისათვის მთვარე თითქმის მთლიანად განათებულ დისკოს წარმოადგენდა. ფოტოსურათზე დედამიწიდან ხილული და უხილავი მთვარის ნაწილების საზღვარი პუნქტირით არის აღნიშნული.

ფოტოსურათებზე მიღებულ იქნა მთვარის ზედაპირის დედამიწიდან უხილავი ნაწილი და უკვე ცნობილი წარმონაქმნების მცირედი ნაწილი. სურათებზე ამ ნაწილის არსებობამ საშუალება მოგვცა მთვარის ზედაპირის წინათ უხილავი ობიექტები დაგვეკავშირებინა უკვე ცნობილებთან და, ამგვარად, განგვესაზღვრა მათი სელენოგრაფიული კოორდინატები.

იმ ობიექტთა შორის, რომლებიც საპლანეტათშორისო სადგურიდან იყო გადაღებული და დედამიწიდან ჩანს, არის: ჰუმბოლდტის ზღვა, კრიზისების ზღვა, კიდის ზღვა, სმიტის ზღვა, სამხრეთი ზღვის ნაწილი და სხვ.

მთვარის ზედ კიდეზე განლაგებული ეს ზღვები, რომლებიც კიდევ ჩანან დედამიწიდან დაკვირვების დროს, პერსპექტიული დამახინჯების შედეგად ჩვენ ვიწროდ და გრძლად გვეჩვენება და მათი ჭეშმარიტი ფორმა დღევანდლამდე არ იყო გარკვეული. საპლანეტათშორისო სადგურიდან გადაღებულ ფოტოსურათებში ეს ზღვები განლაგებული არიან მთვარის ხილული კიდიდან შორს და მათი ფორმა უმნიშვნელოდ დამახინჯებულია პერსპექტივით. ამგვარად, პირველად მოხერხდა მთვარის მთელი რიგი წარმონაქმნების ნამდვილი ფორმის გაგება.

შესამჩნევია, რომ მთვარის ზედაპირის უხილავი ნაწილის არსებულ სურათებზე სჭარბობენ მთიანი რაიონები, მაშინ როცა ხილული ნაწილის ზღვების მსგავსი ზღვები ძალიან ცოტაა. მკვეთრად გამოირჩევიან კრატერი ზღვები, რომლებიც მდებარეობენ სამხრეთ და ეკვატორისპირა ნაწილებში.

იმ ზღვებიდან, რომლებიც ხილული ნაწილის კიდის სიახლოვეს ძლიერ რაკურსში მდებარეობენ, ფოტოსურათებზე მკაფიოდ შესამჩნევია თითქმის დაუმახინჯებლად ჰუმბოლდტის ზღვა, კიდის ზღვა, სმიტის ზღვა და სამხრეთი ზღვა. აღმოჩნდა, რომ სამხრეთი ზღვა თავისი მნიშვნელოვანი ნაწილით მდებარეობს მთვარის უკანა მხარეზე, ამასთან მის საზღვრებს არასწორი კლაკნილი ფორმა აქვთ.

სმიტის ზღვას სამხრეთ ზღვასთან შედარებით უფრო მომრგვალებული ფორმა აქვს და სამხრეთი მხრიდან მასში ღრმად იჭრება მთიანი ნაწილი. კიდის ზღვა რამდენადმე წაგრძელებულია ჩრდილოეთი მიმართულებით, ხოლო კრიზისების ზღვის საწინააღმდეგო მიმართულებით ჩაღრმავებულია.

თავისებური მსხლისებრი ფორმა აქვს ჰუმბოლდტის ზღვას. მთელ იმ ნაწილს, რომელიც მთვარის უკანა მხარის დასავლეთ ნაწილს (ე. ი. კიდის ზღვას) აკრავს, აქვს შორისული არეკვლის უნარი მთიან ნაწილებსა და ზღვებს შორის. არეკვლის უნარის მხრივ იგი მსგავსია მთვარის იმ ნაწილისა, რომელიც განლაგებულია ტიხოს, პეტავიუსის კრატერებსა და ნექტარის ზღვას შუა.

ჰუმბოლდტის ზღვის სამხრეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთით ზემოაღნიშნული მხარის საზღვარზე მიემართება მთაგრეხილი 2.000 კილომეტრი საერთო სიგრძისა, რომელიც გადადის ეკვატორზე და განვრცობილია სამხრეთ ნახევარსფეროში. მთაგრეხილს იქით ვრცელი მატერიკია, რომელსაც არეკვლის გადიდებული უნარი აქვს.

ჩრდილოეთი განედის 20° და 30° და დასავლეთის გრძედის 140° და 160° შორის მდებარე ნაწილში მოთავსებულია კრატერის ზღვა, რომლის დიამეტრი დაახლოებით 300 კილომეტრია. სამხრეთ ნაწილში ეს ზღვა ყურეთი მთავრდება. სამხრეთ ნახევარსფეროში, იმ რაიონში, რომლის კოორდინატებია: განედი —30° და გრძედი +30°, დიდი კრატერია. მისი დიამეტრი 100 კილომეტრზე მეტია, მას ბნელი ფსკერი და ნათელი ცენტრალური გორაკი აქვს, გარშემორტყმულია ნათელი ფართო ზვინულით.

ზემოაღნიშნული მთაგრეხილიდან აღმოსავლეთით ჩრდილოეთი განედის +30° რაიონში მდებარეობს საშუალო ზომის ოთხი კრატერისაგან შემდგარი ჯგუფი. ამ კრატერთაგან ყველაზე დიდს დაახლოებით 70 კილომეტრი დიამეტრი აქვს, ამ ჯგუფის სამხრეთ-დასავლეთით, რაიონში, რომლის კოორდინატებია: განედი +10° და გრძედი +110°, არის მრგვალი ფორმის ცალკე კრატერი. სამხრეთ ნახევარსფეროში დასავლეთ კიდესთან მდებარეობს ორი მხარე, რომლებსაც არეკვლის მკვეთრად დაქვეითებული უნარი აქვთ.

გარდა ამისა, ფოტოსურათებზეა ცალკეული მხარეები, რომლებსაც არეკვლის ოდნავ გადიდებული და შემცირებული უნარი აქვთ, და მრავალი წვრილი დეტალი. ამ დეტალების ბუნება, მათი ფორმა და ზომები შეიძლება დადგენილ იქნას ყველა ფოტოსურათის ღრმად შესწავლის შემდეგ.

პირველად რომ მოხერხდა განგვეხორციელებინა მთვარის ზედაპირის უხილავი ნაწილის გამოსახულებათა სატელევიზიო გადაცემა საპლანეტათშორისო სადგურიდან, ეს ჩვენი მზის სისტემის პლანეტების შესწავლის უფართოეს პერსპექტივებს ქმნის.

* * *

მესამე კოსმოსური რაკეტის გაფრენამ ახალი ფურცელი გადაშალა მეცნიერების ისტორიაში.

იჭრებიან რა კოსმოსის სივრცეში, საბჭოთა კოსმოსური რაკეტები ახლა დედამიწაზე გამოგზავნიან არა მარტო ცნობებს საპლანეტათშორისო წრისა და ციურ მნათობთა ფიზიკური დახასიათების შესახებ, არამედ იმ ციურ სხეულთა ფოტოსურათებსაც, რომლებსაც ისინი ახლოს ჩაუფრენენ.

პირველად განხორციელდა გამოსახულებათა სატელევიზიო გადაცემა ასეულ ათასობით კილომეტრი მანძილიდან. უფართოესი პერსპექტივები იქმნება ასტრონომიისათვის, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა მიუახლოოს თავისი ხელსაწყოები ციურ სხეულებს.

პირველი საბჭოთა ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური იწვევს ყოველი საბჭოთა ადამიანის სიამაყის გრძნობას ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოსათვის, მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკისათვის, იგი მთელი პროგრესული კაცობრიობის აღტაცებას იწვევს.

„იზვესტია“, 27 ოქტომბერი.



მთვარის უკანა მხარეზე იმ ობიექტების განაწილება, რომლებიც გამოვლინებულია ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურიდან მიღებული ფოტოსურათების წინასწარი დამუშავებისას: 1.300 კილომეტრი დიამეტრის დიდი კრატერი-ზღვა — მოსკოვის ზღვა 2. ასტრონავტების ყურე მოსკოვის ზღვაში; 3. სამხრეთი ზღვის გაგრძელება მთვარის უკანა მხარეზე; 4. კრატერი ციოლკოვსკი ცენტრალური გორაკით; 5. კრატერი ლომონოსოვი ცენტრალური გორაკით; 6. კრატერი ჟოლიო-კიური; 7. საბჭოთა მთაგრეხილი; 8. ოცნების ზღვა. სქემის გადამკვეთი უწყვეტი ხაზი — მთვარის ეკვატორი; პუნქტირი ხაზი — დედამიწიდან მთვარის ხილული და უხილავი ნაწილების საზღვარი. უწყვეტი ხაზით შემოვლებულია ობიექტები, რომლებიც სარწმუნოდ დადგენილია წინასწარი დამუშავების დროს; პუნქტირი ხაზით შემოვლებულია ობიექტები, რომლებიც ფორმის დაზუსტებას მოითხოვს; წერტილებით შემოვლებულია ობიექტები, რომელთა კლასიფიკაცია ზუსტდება; დანარჩენ ნაწილში წარმოებს მიღებული ფოტომასალების შემდგომი დამუშავება. რომაული ციფრებით აღნიშნულია მთვარის ხილული ნაწილის ობიექტები: I — ჰუმბოლდტის ზღვა; II — კრიზისების ზღვა; III — კიდის ზღვა; IV — ტალღების ზღვა; V — სმიტის ზღვა; VI — ნაყოფიერების ზღვა; VII — სამხრეთი ზღვა.

უპრეცედენტო ხელოვნება

პარიზი, 27 ოქტომბერი, (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა საკდესის ცნობას საბჭოთა პრესაში მთვარის უხილავი მხარის ფოტოსურათების გამოქვეყნების შესახებ, ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მოსკოვიდან იტყობინება: ამ ექსპერიმენტის წარმატება მით უფრო შესანიშნავია, რომ საჭირო იყო დიდი სიძნელეების გადალახვა. ფოტოგადაღება დედამიწიდან დაახლოებით 400 ათას კილომეტრ მანძილზე გულისხმობს განსაკუთრებულ ოსტატობას მანძილზე ფოტოგადაღების მართვის ტექნიკის დარგში. ეს გადაღება, აგრეთვე ფოტოსურათების შემდგომი გადმოცემა რადიოთი დედამიწაზე თავისთავად „უპრეცედენტო ხელოვნებაა“.

ლიტერატურა და ხელოვნება

გამოჩენილი პუბლიცისტი

სერგეი მესხის დაბადების 115 წლისთავის გამო

მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა სახელოვან პლეადას სერგეი სვიმონის-ძე მესხის სახელიც ამშვენებს. იგი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, რადიკალურად მოაზროვნე პუბლიცისტი და ნიჭიერი ჟურნალისტი, რომელიც თოთხმეტი წლის განმავლობაში უანგაროდ რედაქტორობდა ერთადერთ ქართულ გაზეთ „დროებას" და დაუღალავად იღვწოდა ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისა და გაუმჯობესებისათვის. „მე სხვებსავით უბრალო კაცი ვარ, და თუ რამე ღირსება მაქვს, ეს ღირსება ჩემი სამშობლოს მტკიცე და თავგანწირულ სიყვარულში მდგომარეობს",—ასე ამბობდა ს. მესხი თავის თავზე, და მისი ხანმოკლე სიცოცხლე მართლაც საუკეთესო ნიმუშია სამშობლოს მტკიცე სიყვარულისა და ხალხისათვის თავდადებული სამსახურისა.

ს. მესხი დაიბადა სვიმონ მესხის სახელოვან ოჯახში. ამ ოჯახმა მისცა ქართულ მწერლობასა და თეატრს ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორიც იყვნენ: კოტე, დავით, ეფემია და ივანე მესხები.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ს. მესხი უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგს გაემგზავრა. იგი მთელი გატაცებით ჩაება პეტერბურგის მღელვარე ცხოვრების ფერხულში და გულდასმით დაიწყო მზადება მომავალი მოღვაწეობისათვის. „მაღალი ფრაზების და უბრალო ყბედობის დრო აღარ არის ეხლა, — წერდა იგი, — ეხლა ჩვენ საწყალ სამშობლოს საქმე ეჭირება, ეჭირება ისეთი შვილები, რომელთაც რაიმე საქმის გაკეთება შეუძლიათ".

1867 წელს უმაღლესი განათლებით აღჭურვილი და მეცხრამეტე საუკუნის მოწინავე მოაზროვნეთა გავლენის ქვეშ მყოფი ს. მესხი სამშობლოში დაბრუნდა და სამსახური დაიწყო გუბერნატორის კანცელარიაში; როგორც აკ. წერეთელი შენიშნავს, ს. მესხს უფროსები „კარგი თვალითაც უყურებდნენ, მისი სამსახურში დაწინაურებაც საეჭვო აღარ იყო", მაგრამ მებრძოლი სულით გაჟღენთილი ახალგაზრდა გრძნობდა, რომ კანცელარია არ იყო მისი სამოქმედო ასპარეზი. ამიტომ 1869 წელს, როდესაც ქართველმა სამოციანელებმა ს. მესხი გაზეთ „დროების" რედაქტორად მიიწვიეს, მან დატოვა მოხელის მწვანე მაუდგადაფარებული მაგიდა, მაღალი ხელფასი და სიამოვნებით იკისრა გაზეთის რედაქტორობა. ს. მესხის თავდადებული და დაუღალავი შრომის შედეგად გაზეთმა „დროებამ", რომელიც მანამდე კვირაში ერთხელ გამოდიოდა, მალე კვირაში სამჯერ დაიწყო გამოსვლა, ხოლო 1877 წლიდან იგი ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა. ს. მესხის ხელში „დროება" მრავალმხრივ და მებრძოლ ორგანოდ იქცა. მიუხედავად ცენზურის სიმკაცრისა, გაზეთის რედაქტორი ახერხებდა გაბედულად გაეშუქებინა რევოლუციური დემოკრატიზმის იდეები და მოემზადებინა საქართველოს მშრომელი მასები სოციალისტური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ძვირად უჯდებოდა ს. მესხს ეს გამბედაობა; საცენზურო წესების დარღვევისათვის იგი რამდენჯერმე იქნა მიცემული პასუხისგებაში.

1873-74 წლებში ს. მესხმა ევროპაში იმოგზაურა; განსაკუთრებით დიდხანს დაჰყო მან პარიზში. აქ იგი ახლოს გაეცნო ევროპის ხალხთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, პარიზის კომუნის მონაწილეებს, სორბონაში მოისმინა ლექციები პოლიტიკურ ეკონომიაში და მეცნიერების სხვა დარგებში, დაიარებოდა ვერსალში, ესწრებოდა სხდომებს და ისმენდა გაცხარებულ კამათს რესპუბლიკელებსა და ბონაპარტისტებს შორის. ს. მესხი ოცნებობდა საკუთარი თვალით ენახა რევოლუცია, „თუ ღვთის მადლით რევოლუცია მოხდა, იმ წამსვე გამოვიქცევი... და ჩვენს კვარტალში საუკეთესო ბარიკადს გავმართავ", — სწერდა იგი აკ. მელიქიშვილს.



საზღვარგარეთ მყოფი ს. მესხი ცდილობდა გაეცნო და დაახლოებოდა გარიბალდის, გამბეტას, ლოკრუას და სხვა გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „ამისთანა კაცებთან გაცნობა ყოველთვის გამოსადეგი იქნებოდა".

ევროპაში მოგზაურობას ს. მესხისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. სამშობლოში დაბრუნებული მგზნებარე პუბლიცისტი გაასკეცებული ენერგიით შეუდგა ზრუნვას ქართველი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ს. მესხი საქართველოში კაპიტალიზმის აღმოცენებასა და განვითარებას პროგრესულ მოვლენად თვლიდა და, იბრძოდა რა ინგლისისა და ამერიკის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ საქართველოში, მხარს უჭერდა ეროვნული ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას, თუმცა ამ ახლად ფეხადგმული ბურჟუაზიის მძაფრ კრიტიკასაც იძლეოდა. ს. მესხი ნათლად ხედავდა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სიმდიდრე კაპიტალისტების ინტერესების შესაბამისად ნაწილდებოდა, სადაც „ერთი მილიონებს ფლობს, სხვა ძონძებში დადის და შიმშილით კვდება". მიისწრაფოდა რა „სამართლიანი წყობილებისაკენ", ს. მესხი მთელი პრინციპულობით თხოულობდა ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობების შექმნას, სადაც ადგილი არ ექნებოდა ერთის მიერ მეორის ექსპლოატაციას და სადაც მატერიალური დოვლათის განაწილება შრომის მიხედვით იწარმოებდა.

ს. მესხი ქართული უტოპიური სოციალიზმისა და რევოლუციური დემოკრატიზმის იდეოლოგი იყო და ამიტომ დაურიდებლად ილაშქრებდა როგორც ფეოდალური, ისე ბურჟუაზიული წყობილების დამცველთა წინააღმდეგ. იგი იზიარებდა უტოპისტ-სოციალისტთა— სენ სიმონის, შარლ ფურიეს და რობერტ ოუენის შეხედულებებს და მათ თეორიებს ავითარებდა საქართველოს ისტორიულ მდგომარეობასთან შეფარდებით. თუმცა ს. მესხი კარგად ხედავდა ანტაგონისტურ კლასებს და მათ შორის არსებულ წინააღმდეგობას და ამ წინააღმდეგობის დასაბამს მატერიალისტურად ხსნიდა, მაგრამ იგი არ მისულა კლასთა ბრძოლის საჭიროების აღიარებამდე.

რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილი ს. მესხი ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის მიერ შექმნილ ლიტერატურულ სკოლას შეუერთდა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეალისტური ლიტერატურული კრიტიკის განვითარების საქმეში. ს. მესხს ხელოვნება ნამდვილი ცხოვრების გამომხატველ საშუალებად მიაჩნდა, რომელსაც ცხოვრების ავიცა და კარგიც ერთნაირად უნდა აესახა და ამავე დროს „ეჩვენებინა ისეთი ახალი გზა, რომელზედაც... ხალხს უნდა გაევლო, ეჩვენებინა ისეთი საშუალება, რომელსაც ესა თუ ის პირი, ან ნაკლოვანება საზოგადოებისა უნდა მოესპო". ამ დებულებით ხელმძღვანელობდა იგი მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად ნაყოფიერი სიცოცხლის მანძილზე და თავისი ცოცხალი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებით „სამართლიანი წყობილებისა" და უკეთესი მერმისისაკენ მიუთითებდა მშრომელ ხალხს.

უდიერმა შრომამ უდროოდ გატეხა ს. მესხის რკინისებური ჯანმრთელობა. გ. წერეთელი ს. მესხის დაკრძალვის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში გულისტკივილით აღნიშნავდა: „როცა შენ ამ თოთხმეტი წლის წინათ გაზეთი ჩაგაბარეთ, მაშინ ჩვენგანი ვინ წარმოიდგენდა, თუ შენი თურაშაულივით წითელი ლოყები ასე მალე დასჭკნებოდა".

ს. მესხი გარდაიცვალა 1883 წელს.

დოც. ი. ბოცვაძე.

სპორტის ამბები



„დინამო" ფრთებს ისხამს

მას შემდეგ, რაც დონის როსტოვის არმიელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს საკავშირო ჩემპიონატის ლიდერი — მოსკოვის „დინამო", საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლ თბილისის დინამოელთათვის სატურნირო ცხრილში არამყარი მდგომარეობა შეიქმნა. ამიტომ 27 ოქტომბრის მატჩს თბილისში ადგილობრივ „დინამოსა" და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს შორის დინამოელთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

მართალია, როგორც ფეხბურთელთა, ისე მაყურებელთათვის ამინდი სახარბიელო როდი იყო — წვიმდა, მოედანი ატალახდა, ბურთი დამძიმდა, მაგრამ ამას შეუპოვარი ბრძოლისათვის ხელი არ შეუშლია. დასაწყისში თბილისელებს ნერვიულობა ეტყობოდათ, ვერ იგრძნობოდა ყველა ხაზსა და რგოლს შორის ურთიერთგაგება, კავშირი. ნახევარმცველებმა თავიანთი ფუნქციები დაცვაში კარგად ვერ შეახამეს იერიშების წამოწყებასთან, რამაც სტუმართა ტერიტორიული უპირატესობა შექმნა. შეიძლება ითქვას, რომ პირველ წუთებში თბილისელთა გააზრებულ იერიშებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.

მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე დინამოელები მთელი სიძლიერით ჩაებნენ რიტმულ ბრძოლაში, შეწყობილად ამოძრავდა ყველა რგოლი, იერიში იერიშს მოსდევდა, ტემპმა მოლოდინს გადააჭარბა. არმიელთა კარი აშკარა საფრთხეში იყო, უკანდაწეულ ინსაიდებსა და ნახევარმცველებს მცველებთან ერთად დიდი ჯაფა დაადგათ.

მოგეხსენებათ, ასეთ ვითარებაში რა „შეუბრალებელნი" არიან შ. იამანიძე, მ. მესხი, ა. ღოღობერიძე, ზ. კალოევი. და არმიელებიც გოლს ვერ გადაურჩნენ. 35-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან წამოწყებულ კომბინაციას სათავეში ჩაუდგა შ. იამანიძე და საჯარიმო მოედანზე ლამაზად მიაწოდა ბურთი ზ. კალოევს. დარტყმა დაბალი, კუთხური, ძლიერი. მეკარე ბ. რაზინსკის ნახტომი უნაყოფო აღმოჩნდა. 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

ზედმეტი არ იქნება მოკლედ შევჩერდე შ. იამანიძის თამაშზე. თანამედროვე ფეხბურთის გაგებით მას, როგორც ნახევარმცველს ფართო დიაპაზონი აქვს. იგი კარგათ ხედავს მოედანს, აქვს შესანიშნავი ორიენტაცია, მაღალი ტექნიკა და გამძლეობა.

ანგარიშის გახსნის შემდეგ დინამოელთა იერიშებს უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა. მოუსვენარი მესხი მარცხენა ფრთაზე თავისუფლად გადიოდა ვ. შჩერბაკოვთან, მაგრამ კარგად ჩაწოდებული ბურთების მისაღებად პარტნიორები ყოველთვის ადგილზე არ იყვნენ.

45 წუთი ამოიწურა. ფეხბურთელები დასასვენებლად წავიდნენ.

მალე კვლავ განახლდა ბრძოლა. მე-11 წუთზე არმიელთა ცენტრალური თავდამსხმელი ა. მამიკინი გაუსხლტა მოდარაჯეს და მეკარე ს. კოტრიკაძესთან ორთაბრძოლა გოლით დაამთავრა — 1:1.

ამის შემდეგ ორი წუთიც არ იყო გასული, რომ მარცხენა ფრთიდან შ. იამანიძის ღრმა რეიდი შედეგიანი აღმოჩნდა. დაახლოებით განმეორდა იგივე მომენტი, რაც პირველი გოლის გატანისას. შ. იამანიძემ სწრაფად მიაწოდა ბურთი კარგად შერჩეულ ადგილზე მდგომ ზ. კალოევს და ამ უკანასკნელმა მეორე ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

ზოგჯერ ჩვენს ფეხბურთელებს ასეთი ანგარიშის დროს ახასიათებს ტემპის მოდუნება, პასიური თამაში, დაცვაზე გადასვლა, მაგრამ ამჯერად მოედანზე ამას ვერ ვხედავდით, დინამოელები იბრძოდნენ შემტევი სტილითა და მაღალი ტემპით. ასეთი მეთოდით თამაშს მოჰყვა ის, რომ ინიციატივა მთლიანად ხელთ იგდეს თბილისელებმა. ვ. ბარქაიამ და თ. მელაშვილმა დამატებით ორი ბურთი გაიტანეს მოსკოველთა კარში, და თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1.

ორ მატჩში — „ზენიტთან" და ცსკ მოსთან 9 ბურთის გატანა უთუოდ მეტყველებს „დინამოს" თავდამსხმელთა, ნახევარმცველთა და საერთოდ მთელი კოლექტივის მაღალ ბრძოლისუნარიანობაზე, ტექნიკაზე, ტაქტიკის მრავალფეროვნებაზე.

საიმედოდ თამაშობდნენ „დინამოს" დამცველები. თავდამსხმელებიდან ვ. ბარქაია 90 წუთის განმავლობაში მთელი დატვირთვით იბრძოდა, ხოლო ა. ღოღობერიძე გამოირჩეოდა ჩვეულებრივი სიდინჯით, გააზრებული თამაშით. უთუოდ კარგი იყო მ. მესხი, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. მისი გასვლები ცრუ მოძრაობით და დრიბლინგებით ყოველთვის საშიშ მდგომარეობაში აყენებდა მოწინააღმდეგის კარს, მეტოქეს. სასიხარულოა, რომ მ. მესხი ხშირად უბურთოდ თამაშობს და საერთოდ მეტს მოძრაობს მოედანზე, რაც პარტნიორებს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიურად იბრძოლონ საჯარიმო მოედანზე.

რა შეიძლება ითქვას სტუმართა თამაშზე? ცსკ მო-ს გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია ახალგაზრდა ფეხბურთელებით. მათი ბრძოლა უფრო ათლეტურია, ვიდრე ტექნიკური, და ამიტომ შედარებით პრიმიტიულად გამოიყურება. ჩემი აზრით ახლა მარტო ძალისმიერ თამაშზე, სირბილზე, გარღვევაზე დაყრდნობა მცდარი იქნებოდა. ეს ელემენტები უთუოდ შერწყმული უნდა იყოს მაღალ ტექნიკასთან და ტაქტიკასთან. სხვანაირად გუნდი არც შეიძლება იყოს ძლიერი, არ შეიძლება აჩვენოს ლამაზი თამაში, მაღალი შედეგები. ამ დღეს მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა მეკარე ბ. რაზინსკი. მხედველობაში მაქვს მისი არაზუსტი რეაქცია, გამოსვლები, ნახტომები.

და, ბოლოს, თბილისის „დინამოს" მომავალ მატჩზე კუიბიშევში. ცხადია, ახლ მთელი წლის ნაშრომი დამოკიდებულია უკანასკნელი შეჯიბრების შედეგზე, უკანასკნელ ორ ქულაზე. თუ თბილისელებმა შეძლეს 27 ქულის შეგროვება, ჩემპიონატში მათთვის საპატიო ადგილი გარანტირებული იქნება. დინამოელებს კუიბიშევში მოელით შეუპოვარი ბრძოლა, მაგრამ ისეთი თამაშით, როგორიც მათ „ზენიტთან" და ცსკ მო-სთან აჩვენეს, თამამად შეიძლება მოპოვებულ იქნას მეტად საჭირო ორი ქულა.

ბ. პაიჭაძე,
სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

• • •

სურათზე: შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი არმიელთა კართან.

მღერიან დები ფეოდოროვები

როცა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა ნიუ-იორკში საბჭოთა გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში ფირზე ჩანაწერებს მოუსმინა, მას განსაკუთრებით მოეწონა რუსული ხალხური სიმღერები დების ფეოდოროვების შესრულებით და დაინტერესდა მათი ვინაობით. მაშინ იქვე მყოფმა ფ. კოზლოვმა მას უამბო, ეს დები ლენინგრადის ერთ-ერთი ქარხნის ყოფილი მოსამსახურეები არიან, თავდაპირველად მხატვრულ თვითმოქმედებაში მონაწილეობდნენ, ამჟამად კი ცნობილი პროფესიონალი მსახიობები არიან...

...რთული, ხანგრძლივი და დაძაბული შემოქმედებითი ძიებით მიაღწიეს ფართო პოპულარობას დებმა ფეოდოროვებმა. იყო სამამულო ომის მძიმე წლები, ლენინგრადის ბლოკადის სასტიკი დღეები, დამწყებ მომღერლებს არავითარი მუსიკალურ-თეორიული ცოდნა არ გააჩნდათ. მაგრამ ახალგაზრდულმა ენერგიამ და თანდაყოლილმა ნიჭმა თავისი გაიტანა... საერთაშორისო კონკურსის ლაურეატების — დები ფეოდოროვების სახელებს ამჟამად ფართოდ იცნობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ისინი არაერთგზის გამოსულან კონცერტებით ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა და პოლონეთში, შვეციასა და ჩინეთში და ყოველთვის საზღვარგარეთელ მსმენელთა აღტაცება გამოუწვევიათ. საბჭოთა კავშირის ქალაქებში მორიგი საგასტროლო ტურნეს შემდეგ დები ფეოდოროვები ამ დღეებში თბილისს ესტუმრნენ და რუსთაველის საკონცერტო დარბაზსა და ძერჟინსკის სახელობის კლუბში კონცერტებით გამოდიოდნენ.

• • •

განაპირას მდგომმა ერთ-ერთმა ფეოდოროვამ ხმადაბლა, თითქოს თავისთვის, წაიღიღინა: „სიზმარო, ჩემო სიზმარო..."

მას აჰყვა დანარჩენი სამი და: „სიზმარო, ბედნიერო სიზმარო, რა იქნება, რომ უკან დამიბრუნდებოდე?"

„...ოი, ოი, რა მესიზმრა", წამოიწყო ისევ განაპირას მდგომმა დამ, და თავისი „ოი-ოით" კიდევ უფრო ხაზი გაუსვა მუსიკალური ფრაზის ისედაც ღრმა სევდიან კოლორიტს.

„ვითომ შეყვარებულთან,
ვითომ შეყვარებულთან ბაღში ვიჯექი..." — ისევ აჰყვნენ დანარჩენნი.

სიმღერის პირველმა კუპლეტმა გაამხნევა და აღაფრთოვანა მომღერლები, რომლებიც ოდნავ შესამჩნევად ირხეოდნენ მუსიკალური ტაქტის შესაბამისად და თან მსმენელთა ზემოთ, სადღაც შორს იცქირებოდნენ, თითქოს ხედავდნენ ყველაფერ იმას, რაზეც მღეროდნენ...

• • •

რაშია დები ფეოდოროვების წარმატების მიზეზი? უპირველეს ყოვლისა მათი მრავალხმიანი სიმღერის ახალ თავისებურ მანერაში! რუსული ხალხური სიმღერების ავტორიტეტული მკვლევარის პროფესორ კასტალსკის აზრით „რუსულ გუნდებში ყველაზე მეტად სჭარბობს ორხმიანობა. ხოლო სამხმიანობა, ისევე როგორც ოთხხმიანობა, ეპიზოდურად გვხვდება".

ფეოდოროვების ანსამბლში ხმის ამყოლნი უფრო გაბედულ, დამოუკიდებელ როლს ასრულებენ და მდიდარი ჰარმონიული შეხამების შექმნის თვისებებსაც ამჟღავნებენ. ფეოდოროვების ანსამბლში საშუალო და დაბალი ხმების ნიველირება კი არ ხდება, არამედ თვითეული ხმა გამოირჩევა დამახასიათებელი მელოდიური გარკვეულობით. რუსული ხალხური სიმღერების ჰარმონიული გამდიდრება ფეოდოროვების ყველაზე დამახასიათებელი მხარეა. ამაში სერიოზული ღვაწლი მიუძღვის მათს პირველ სამხატვრო ხელმძღვანელს — ლენინგრადის კონსერვატორიის აღზრდილს — კომპოზიტორ ლეონიდ შიმკოვს, რომელმაც თავისი ვოკალისტური ალღო, რუსული ხალხური სიმღერების დამუშავებაში შეძენილი გამოცდილება გულუხვად გაუზიარა მომღერლებს.

დ. გველესიანი.

• • •

სურათზე: დები ფეოდოროვები.

უკანასკნელ საათს

მ. ტალი თუ პ. კერესი?

ბელგრადი, 27 ოქტომბერი. (ტელეფონით). დღეს იუგოსლავიის პროფკავშირების სახლის სალექციო დარბაზში მოხდა XXVI და XXVII ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება.

თამაშის განახლების წინ **გლიგორიჩმა** განუცხადა მსაჯთა კოლეგიას, რომ იგი ნებდება **კერესს** გადადებულ პარტიაში. **კერესს** მეტად ძლიერი გამსვლელი პაიკი ჰყავდა, რომელიც შეუფერხებლად გადიოდა ლაზიერად. ამიტომ შემდეგი წინააღმდეგობა **გლიგორიჩის** მხრივ მართლაც უაზრო იყო.

არც **ოლაფსონმა** მოინდომა თამაშის გაგრძელება **ფიშერთან** და **სმისლოვთან** გადადებულ პარტიებში, რომლებშიც უკანასკნელთა უპირატესობის რეალიზაცია სიძნელეს არ წარმოადგენდა. **პეტროსიანმა** და **ბენკომ** მსაჯთა კოლეგიას განუცხადეს, რომ ისინი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მხოლოდ **ფიშერი** და **ტალი** მიუსხდნენ დაფას XXVII ტურში გადადებული პარტიის გასაგრძელებლად. **ტალს** თუმცა ორ პაიკში კუ ჰქონდა, მაგრამ უპირატესობის რეალიზაციის გზაზე უნდა დაეძლია ტექნიკური სიძნელეები. რიგელმა გროსმაისტერმა იშვიათი სიზუსტით წარმართა თამაში და 62-ე სვლაზე **ფიშერს** ამ ტურნირში მეოთხედ დააყრევინა ფარ-ხმალი.

პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში დარჩა მხოლოდ დასკვნითი, XXVIII ტური, რომელშიც უნდა გაირკვეს მსოფლიო ჩემპიონის მ. **ბოტვინიკის** მეტოქე. მ. **ბოტვინიკთან** შეხვედრის უფლების მოპოვება შეუძლიათ მხოლოდ მ. **ტალსა** და პ. **კერესს**. მ. **ტალს** ჰყოფნის ნახევარი ქულა, რომ პირველი ადგილი მოიპოვოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მ. **ტალმა** განიცადა დამარცხება, პ. **კერესი** ეწევა მას, რასაკვირველია, თვითონ თუ მოიგო პარტია **ოლაფსონთან**. პირველ-მეორე ადგილის გაყოფის შემთხვევაში ერთი თვის შემდეგ გაიმართება **ტალ-კერესის** მატჩი 12 პარტიისაგან მ. **ბოტვინიკის** მეტოქის გამოსავლენად.

ახლა, XXVIII ტურის წინ მ. **ტალს** 19,5 ქულა აქვს, პ. **კერესს** — 18,5 ქულა, ვ. **სმისლოვს** — 15 ქულა, ტ. **პეტროსიანს** — 14,5 ქულა, ს. **გლიგორიჩს** — 12,5 ქულა, რ. **ფიშერს** — 11,5 ქულა, ფ. **ოლაფსონს** — 9 ქულა და პ. **ბენკოს** — 7,5 ქულა.

28 ოქტომბერს მატჩ-ტურნირზე დასვენების დღეა.

29 ოქტომბერს გაიმართება დასკვნითი, XXVIII ტური, რომელშიც ერთმანეთს ხვდებიან **ტალი-ბენკო, კერესი-ოლაფსონი, პეტროსიანი-გლიგორიჩი** და **სმისლოვი-ფიშერი**.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საზღვარგარეთ

ჩვენი ურთიერთობა ნათელია, როგორც მზიანი დღე

ჰელსინკი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). ქალაქ კოტკაში საუზმეზე, რომელიც 25 ოქტომბერს გაიმართა აქციონერთა საზოგადოება „ენსო-გუტცეიტის" სახელით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა თქვა, რომ სსრ კავშირისა და ფინეთის ურთიერთობა „ნათელია, როგორც მზიანი დღე". ვერავითარი ქარიშხალი, თქვა მან, ვერავითარი წვიმა ვერ მოახდენს გავლენას მეგობრულ ატმოსფეროზე, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს.

ა. ი. მიქოიანმა ქალაქ კოტკის მოსახლეობას დიდი წარმატებანი უსურვა ქალაქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში და განაგრძო: არ შემიძლია არ ვთქვა კიდევ რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს თქვენს ქალაქს ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის. 1907 წელს ჩვენს ქალაქში, რომელიც მაშინ სულ ახალგაზრდა იყო, რუსმა ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით მოიწვიეს პარტიული კონფერენცია. მას ამაში დაეხმარნენ ადგილობრივი მუშები, სოციალ-დემოკრატები. ამ კონფერენციაში, რომელიც ქალაქ კოტკაში გაიმართა, მონაწილეობა მიიღო ადამიანთა მცირე ჯგუფმა. ეს იყო ლენინის გვარდია. 10 წლის შემდეგ, 1917 წლის თებერვალში, მეფის თვითმპყრობელობა დაემხო, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში მოხდა დიდი სოციალისტური რევოლუცია, რომლის შედეგადაც ფინელებმა დამოუკიდებლობა მიიღეს.

მინდა გამოვთქვა სურვილი, რომ თქვენი ქალაქი, რომელმაც თავისი როლი შეასრულა ჩვენი პარტიის, ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში, იყოს საბჭოთა კავშირთან მეგობრობის მოწინავე პოზიციებზე. ჩვენი და თქვენი მეგობრობა უანგაროა, გულითადია.

ჰელსინკი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). ფინეთის პრესა ამ დღეებში ფართოდ აშუქებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანის ფინეთში ყოფნას. გაზეთები აქვეყნებენ ვიზიტისადმი მიძღვნილ მრავალ მასალასა და ფოტოსურათებს და ხაზს უსვამენ, რომ ა. ი. მიქოიანის შეხვედრები მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობს. სადაც უნდა გამოჩნდეს ა. ი. მიქოიანი, მოსახლეობა გულთბილად მიესალმება მას.

დღეს დილით ა. ი. მიქოიანი სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ნ. ს. პატოლიჩევის, ფინეთში სსრ კავშირის ელჩის ა. ვ. ზახაროვისა და სხვა ოფიციალური პირების თანხლებით ეწვია ჰელსინკის უნივერსალურ მაღაზიას „სოკოსს". ეს უნივერმაღი, როგორც დირექტორმა-განმკარგულებელმა ჰიეტანენმა განაცხადა, საქონელს უცვლის „ცენტროსოიუზს".

სტუმრები გაეცნენ აგრეთვე რესტორან „სოკოსს" და სასტუმრო „ვააკუნას".

შემდეგ ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირნი წავიდნენ სახალხო პენსიების სამმართველოში, რომლის გენერალური დირექტორია ფინეთის პრემიერ-მინისტრი ვ. ი. სუქსელაინენი. ამჟამად გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებს ო. ჰილტუნენი. ვ. ი. სუქსელაინენი, ო. ჰილტუნენი და სახალხო პენსიების სამმართველოს სხვა დირექტორები ხვდებიან სტუმრებს და აცნობენ მათ ამ დიდი საფინანსო დაწესებულების საქმიანობას, რომლის საპენსიო ფონდი დაახლოებით 90 მილიარდ ფინურ მარკას შეადგენს. 400 ათასზე მეტი კაცი სარგებლობს ამ ფონდით. ა. ი. მიქოიანი და ნ. ს. პატოლიჩევი ხელს აწერენ საპატიო სტუმართა წიგნში.

დიდი წვლილი მშვიდობის საქმეში

ბერლინი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის სენატის ოთხი წევრისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფება, მიესალმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ ვიზიტს საფრანგეთში.

როგორც ადნის სააგენტო იუწყება საფრანგეთის სენატორებმა ამასთან იმედი გამოთქვეს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ვიზიტი, მისი შეხვედრა პრეზიდენტ დე გოლთან ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

დარწმუნებული ვარ, განაცხადა სენატორმა პოლ შევალიემ, რომ ვიზიტს მოჰყვება ეს შედეგები. პოლიტიკური უთანხმოება ყველაზე უმჯობესია განვიხილოთ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის საქმიანი მოლაპარაკების დროს. ამიტომ ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრას დე გოლთან უნდა მივესალმოთ.

პოლ შევალიემ აღნიშნა, რომ მისი აზრით ეს შეხვედრა იქნება არა მარტო წვლილი მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, არამედ ხელს შეუწყობს აგრეთვე საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაუმჯობესებას.

მორის ტორეზის გამოსვლა

პარიზი, 26 ოქტომბერი, (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა მოუწოდა — ბოლო მოეღოს ომს ალჟირში და დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ალჟირელი ხალხის თვითგამორკვევის საფუძველზე. გაზეთ „ლუმანიტეში" გამოქვეყნებულ სტატიაში ტორეზი ხაზს უსვამს, რომ ალჟირელი ხალხის მამაცური წინააღმდეგობის, აგრეთვე საფრანგეთის მუშათა კლასისა და ყველა დემოკრატის აქტიური მოქმედების შედეგად, თუნდაც სიტყვით, მოხდა საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკის შესამჩნევი ცვლილება. „დაადასტურა რა საბოლოო ანგარიშით „დაშოშმინების" ჩაფუშვა, — აღნიშნავს ტორეზი, — გენერალმა დე გოლმა ცნო ალჟირელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება".

ტორეზი ხაზს უსვამს, რომ სწორია კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, რომელიც ყოველთვის გმობდა ამ „უაზრო და გამოუვალ ომს".

ამერიკელები ევროპაში თავს უყრიან ტაქტიკურ ავიაციას

ბონი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). დპას სააგენტოს კორესპონდენტი ვისბადენიდან იუწყება, რომ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები ნოემბრის შუა რიცხვებში თავიანთი მე-17 საჰაერო არმიის მთავარ შტაბს ჩრდილოეთ აფრიკიდან — რამშტეინიდან გადაიყვანენ პლაცში (დასავლეთი გერმანია) და მას დაუქვემდებარებენ გერმანიასა და საფრანგეთში ამერიკის შეერთებული შტატების ტაქტიკური ავიაციის დიდ ნაწილს. კორესპონდენტი ამასთან იმოწმებს ევროპაში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის გენერალ ფრედერიკ სმიტის ცნობას.

ამჟამად მე-17 საჰაერო არმიას ექვემდებარება ამერიკის იმ საავიაციო ნაწილების მეტი ნაწილი, რომლებიც იმყოფებიან იტალიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში.

შემთხვევა რიონზე

საღამოვდებოდა. მდინარე რიონი ადიდებულიყო და კალაპოტში ვერ ეტეოდა. ონიდან ქუთაისის მიმართულებით მეხუთე კილომეტრზე ერთმანეთს შეხვდა ორი სატვირთო მანქანა. ერთმა მანქანამ უკან დაიხია, რომ გზა დაეთმო ონიდან მიმავალი მანქანისათვის, მისი უკანა თვლები გზას ასცდა და მანქანა დიდი სიმაღლიდან პირდაპირ აქაფებულ რიონში გადავარდა.

მძღოლის კაბინაში იჯდა კომკავშირელი ქალიშვილი, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი ონელი დინა გონგაძე. როცა მანქანა წყალში ჩავარდა, ქალიშვილი ტალღებმა რამდენიმე ასეულ მეტრზე გაიტაცა. დინამ კარგად იცოდა ცურვა, მაგრამ ტანსაცმელი მეტად უშლიდა. ქალიშვილს დახრჩობა ემუქრებოდა. მან ძალღონე მოიკრიბა და მამაცურად შეებრძოლა ზვირთებს, — როგორც იყო ნაპირს მიაღწია და უგრძნობლად დაეშვა. აქ მას მგზავრები მიეშველნენ, წყლის მეორე ტოტში გაიყვანეს და ონის საავადმყოფოში მიიყვანეს.

დინას პატარაობიდანვე უყვარდა ცურვა, ხშირი სტუმარი იყო რიონისა, და ამ ცურვის ცოდნამ გადაარჩინა.

ნ. დუშუაშვილი.

მატჩები მოსკოვსა და კიევში

მოსკოვი. 27 ოქტომბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში დედაქალაქის „ტორპედოსა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდებს შორის. პირველი ტაიმის შედეგი იყო 0:0. შეჯიბრების მეორე ნახევარში ტორპედოელებმა მოწინააღმდეგის კარში 2 ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

კიევი. 27 ოქტომბერი. ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის —მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა კოლექტივი შეხვდა კიევის „დინამოს". თამაშის პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ 1:1. მეორე ტაიმში რკინიგზელებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა და გაიმარჯვეს 2:1.

საკავშირო პირველობის ცხრილი („ა" კლასი)

მდგომარეობა 28 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" მ.	19	11	4	4	37:19	26
„ლოკომოტივი" მ.	20	11	4	5	39:24	26
„დინამო" თბ.	21	11	3	7	46:32	25
სკვო	19	10	4	5	33:25	24
„ტორპედო" მ.	21	10	3	8	25:23	23
„სპარტაკი" მ.	21	7	8	6	31:28	22
„ზენიტი" ლ.	21	8	4	9	29:36	20
„დინამო" კ.	20	6	7	7	24:29	19
ცსკ მო მ.	19	7	3	9	26:23	17
„მოლდოვა" კიშ.	20	6	4	10	20:42	16
„კრ. სოვეტ." კუიბ.	21	6	1	14	25:35	13
„შახტიორი" სტ.	20	3	5	12	20:39	11

შემოკლებული აღნიშვნები — თ. — თამაში, მ. — მოგება, ფ. — ფრე, წ. — წაგება, ბ. — ბურთები, ქ. — ქულა.

თბილისის თეატრები და კინოები

28 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის — როცა ასეთი სიყვარულია, **მარჯანიშვილის სახელობის** — ასი ათასი, **გრიბოედოვის სახელობის** — უკანასკნელი გაჩერება, **სან. კულტურის** — ერთი შეცდომის შედეგ. **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტურანდოტი (აბონ. № 15, 6 ს.), **თოჯინების ქართული** — შვლის ნუკრი (11 ს.), ჩექმებიანი კატა (2 ს.), **რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი** — ბორის გოლშტეინი (ვიოლინო), **ცირკი** — ბელორუსიის სახელმწიფო ცირკის გასტროლები.

რადიო

28 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

11.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — ქართველ კომპოზიტორთა პიესები ალტისათვის ალ. ბეგალიშვილის შესრულებით, 12.45 — რუსული რომანსები ლ. წივწივაძის შესრულებით, 17.20 — ე. გილელსის კონცერტი, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. პიონერული მოთხრობები, 18.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.15 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 19.45 — გადაცემა — „ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში", 20.20 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები, 21.00 — საუბარი „ხელის მძიმე შრომა ლიკვიდირებული იქნება", 21.15 — ქართული საოპერო მუსიკა, 22.00 — ლიტერატურული გადაცემა. ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებების II ტომი, 22.25 — ა. მაჭავარიანი. სავიოლინო კონცერტი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 07601 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.